— ბატონო გურამ, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა დროს თქვენ არაერთი პოლიტიკური პარტიისგან გქონდათ შემოთავაზება, პოლიტიკურ პარტიაში განწევრიანებაზე უარს აცხადებდით, მაგრამ ახლა საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ წევრი ხართ. რამ განაპირობა ამ გადაწყვეტილების მიღება? — უარს ვამბობდი, რადგან არ მომწონდა პოლიტიკური პარტიების რადიკალიზმი. მე წინააღმდეგი ვარ ისეთი პროცესისა, რომელსაც რევოლუციისკენ მივყავართ, რადგან რადიკალიზმს სიკეთე ჩვენი ქვეყნისთვის არასდროს მოუტანია. ეს პერიოდი უკვე გავიარეთ. ყველა ხელისუფლება ვადაზე ადრე შეცვალეთ, რაც, ჩემი აზრით, არასწორია. **გადამწყვეტილი „ქართული ოცნებაში“ განაპირობებ, ვინაიდან ჩამოიშალა ბიძინა ივანიშვილის მსოფლიო-საზოგადოებრივი იმედი, იმდროინდელი პრეზიდენტის პოპულარობა და მისი პოლიტიკური კურსის ბიძინა ივანიშვილის პოპულარობა, გუნდი ახლა ყალიბდება და ვინაიდან, მომავალში რა ურთიერთობა შექმნება მათთან.** — მრავალი წელია, თქვენ სახალხო დიპლომატიის მიმართულებით მუშაობთ, „ქართული ოცნებაშიც“ ამავე გზას გააგრძელებთ? — დიახ, ვინაიდან ჩვენ აფხაზეთთან დაკავშირებითაც თანამოაზრეები ვართ. ვეთანხმები ბიძინა ივანიშვილის მოსაზრებას, რომ ქართულ და აფხაზურ საზოგადოებას შორის, პირველ რიგში, დიალოგი უნდა შედგეს. სამწუხაროდ, მისი განცხადება მასმედიის ზოგიერთმა საშუალებამ არასწორად გააშუქა. ითქვა, თითქოს ივანიშვილი მომხრეა აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიაროს, რაც არასწორია, მაგრამ თუ მიგვაჩნია, რომ აფხაზეთი ჩვენი, დიალოგი უნდა აღდგეს.

გეს. როცა აფხაზეთთან დიალოგი გაუწყვიტეთ, მაშინ გაპარდა პირველი ტყვია. ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მოგვარებასთან დაკავშირებით ჩემი, ირაკლი ალასანიას და პაატა ზაქარეიშვილის ხედვა ერთმანეთს ემთხვევა. — როგორ წარმოგიდგენიათ აფხაზეთთან დიალოგის განახლება, როცა, მრავალი წელია, პროცესები „გაყინულია“? თქვენ ის ადამიანი ხართ, რომელსაც ურთიერთობა აქვს აფხაზეთთან, გყავს აფხაზი მეგობრები, ამ დროის მანძილზე შეიცვალა აფხაზების დამოკიდებულება ქართველებისადმი? — დროთა განმავლობაში დამოკიდებულება იცვლება. მაგალითად, 15-20 წლის წინათ სხვა ვითარება იყო, დღეს სხვა სიტუაციაა. აფხაზური საზოგადოება ჩვენთან შედარებით მცირერიცხოვანია, მაგრამ ძალიან „ჭრელი“. საქართველოსთან დაკავშირებით მათ შორისაც აზრთა სხვადასხვაობაა. — თქვენი აზრით, რა შეგვიძლია ამ ეტაპზე შევთავაზოთ აფხაზებს, რით შეგვიძლია დავაინტერესოთ ისინი? — ყოველი გააზრებული პოლიტიკური განცხადება, ნაბიჯი, ადამიანური ურთიერთობა შედეგის მომტანიანია. მაგალითად, მივესალმები როდესაც აფხაზები თბილისში ჩამოვიყვანეთ და უფასოდ მკურნალობდნენ. **აფხაზურ მასშტაბში თუ გადართვით, რამდენად მნიშვნელოვანია აფხაზების დამოკიდებულება ალიაროს, რაც არასწორია, მაგრამ თუ მიგვაჩნია, რომ აფხაზეთი ჩვენი, დიალოგი უნდა აღდგეს.**

თვის არის დიალოგი საჭირო. იმ სიტუაციაში, როცა ორი ქვეყნის ხელისუფალი ერთმანეთს ვერ ელაპარაკება და პოლიტიკოსებს შორის არანაირი დიალოგი არ არსებობს, სწორედ სახალხო დიპლომატიას შეუძლია გააკეთოს ის, რასაც ხელისუფლება და პოლიტიკოსები ვერ აკეთებენ. საინტერესოა, რომ ცოტა ხნის წინათ, ცნობილი ყაბარდოელი მეტროპოლიტი, აფხაზეთის გმირის, იბრაჰიმ იაგაიშვილის ინტერვიუ დაიბეჭდა, რომელშიც ის მიმართავს აფხაზებს: მართალია, თქვენ ომი და დიდი გაჭირვება გადაიტანეთ, მაგრამ მაინც გერჩივნოთ, რომ ქართველებთან საერთო ენა მოძებნოთ. მისმინათქვამა აფხაზეთში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია — ზოგი ამბობდა, რომ ჩვენ არასდროს შევუვლიდებოთ ქართველებს, ვინაიდან მათთან ომი გვქონდაო, ზოგი კი პირიქით ფიქრობდა... — რაც შეეხება საგარეო-პოლიტიკურ კურსს: ბიძინა ივანიშვილი და მისი გუნდი აცხადებს, რომ საქართველოში მიზანია ნატოში გაწევრიანება და რუსეთთან ურთიერთობის დალაგება, თქვენი აზრით, როგორ უნდა წარმოართოს ეს პროცესი? — ბევრი ქვეყანა მოქცეულა ასე და ფიქრობდა, აუცილებელია, ჩვენც ბალანსირების პოლიტიკა ვანარმოოთ, როცა ორი დიდ ძალასთან თანამშრომლობას ახერხებ. — როგორ წარმოგიდგენიათ ამ ყველაფრის მოგვარება თქვენ პირადად, ადამიანს, რომელიც ჩართული ხართ ამ პროცესებში? — თეორიულად იდეა მისასაღებელია, მაგრამ ამ საკითხზე ამჯერად ცალსახად პასუხს ვერ გავცემთ, ვინაიდან ჯერჯერობით გუნდი ყალიბდება, ხდება პოზიციების შეჯერება, წინ ჯერ კიდევ დიდი საშუალებაა — რა და როგორ

უნდა მოხდეს. მუშავდება გეგმა, რომლის მიხედვითაც ვიმოქმედებთ. სულ ახლახან „ქართულ ოცნებაში“ ჩამოყალიბდა ჯგუფები და მიმდინარეობს მუშაობა. ჩვენი ხედვა ასეთია: ჩვენ ყველა ქვეყანასთან უნდა მოვძებნოთ საერთო ენა. ვინაიდან, როდესაც პატარა ქვეყანა ხარ და არ შეგიძლია ძალით გადარჩევა რაიმე პრობლემა, დიდი დიპლომატია უნდა გქონდეს. მაგრამ ჯერჯერობით ვერ ვხედავთ, ჩვენი ხელისუფლება კონსტრუქციულად ვინმეს ესაუბრებოდეს. მაგალითად, ძალიან გული მეტკინა ილორის ტაძრის გამო. ჩვენსა და აფხაზებს შორის რაიმე დიალოგი რომ არსებობდეს, ქართულ ძეგლებს მაინც მივხედავდით და მოუფლავდით ერთობლივად, გავაგზავნიდით სპეციალისტებს. მაგრამ მე იმედია იკაცი ვარ და მჯერა, ქართველები მოვძებნით გზას და ყველას მშვიდობიანად დაველაპარაკებთ. — „ქართული ოცნების“ პრეზენტაციაზე მიმტეველებობას და წყენის დაინყებებაზე ისაუბრეთ, ფიქრობთ, რომ ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაში ყველას ყველაფერი უნდა ევატიოს? ეს ხომ ქვეყანაში დაუსჯელობის სინდრომის განვითარებას გამოიწვევს? — რა თქმა უნდა, ასე არ უნდა მოხდეს, მაგრამ ამ ხელისუფლების მოსვლისთანავე დაიწყო ჩემიანებდა და სხვადასხვა ხალხის დაყოფა. არ უნდა ხდებოდეს ასე, რომ აი, ის მომლოცველი ან მწერალი ჩვენიანი არ არის, ჩვენს აზრებს არ იზიარებს და ამის გამო უნდა გავარიყოთ. დაყოფა ჩვენიანებად და სხვადასხვადას დაყოფა. სწორედ ამას ვენიშნავდით. როდესაც პირველად მოვისმინე სლოგანი „ჩვენ ერთი გუნდი ვართ“, მეგონა, მთლიანად საქართველოს გულსხმობდ-

ნენ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ერთ გუნდზე იყო საუბარი... **ჩვენ ვხედავთ, რომ ხელისუფლება საზოგადოების აზრებს, რჩევებს არასდროს ითვალისწინებს. ერთია, ააშენო სახლები, დააგო გზები, გაატარო სასარგებლო რეფორმები, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია მოუსმინო საზოგადოებას. არასწორად მიმართა იმ ხალხის გასამართლება, რომელიც წინა ხელისუფლებას ემსახურებოდა, თუ, რა თქმა უნდა, ადამიანი არ არის დამნაშავე და კორუმპირებული. 25 წლის წინათ რომ დავინყეთ ხალხის მტრებისა და აგენტების ძებნა, სამწუხაროდ, ეს პროცესი დღესაც გრძელდება. ეს უნდა დასრულდეს.** ხალხი მხოლოდ არჩევნების წინ არ უნდა ახსენდებოდეს პოლიტიკოსებს. როცა ამდენი პატიმარი გყავს, შეუძლებელია, კარგი და წარმატებული ქვეყანა იყო, პირიქით. ფაქტობრივად, ორი საქართველო შეიქმნა: ერთი — კარგად ცხოვრობს, კარგი ჯიპები ჰყავთ, მაღალი ხელფასები აქვთ, დანარჩენი საქართველო კი ძალიან გაჭირვებულია. რამდენიმე თვეში ჩატარდება საპარლამენტო არჩევნები და, სურთ თუ არა ვილაცხვებ, პარლამენტის წევრთა შემდგენლობა უნდა განახლდეს, პარლამენტი უფრო დემოკრატიული უნდა გახდეს. პრეზიდენტ სააკაშვილს ენურება დასარგებლად ვადა და მას აღარ აქვს უფლება, იყოს სათავეში, ამიტომ ემზადებიან სხვები ხელისუფლებაში მოსასვლელად, რაც ბუნებრივია. — თუმცა სააკაშვილის პრეზიდენტის პოსტზე მოსვლაზე უკვე საუბრობენ... — ეს ცუდი ნაბიჯი იქნება. როცა ჯორჯ ვაშინგტონმა საპრეზიდენტო ორი ვადა დაასრულა, მას შესთავაზეს საპრეზიდენტო პოსტზე მესამე



მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება ძველანაზი დიად დეკლარირებულ ულტრალიბერალურ პოლიტიკას ატარებს, „საჭირო მომენტში“ საარჩევნო თუ პოლიტიკური კამპანიის სანარმოებლად და საზოგადოების თვალის ასახვევად ხშირად იღვას მემარცხენე ხასიათის ისეთ გადაწყვეტილებებს, რომორიცაა 30-ლარიანი ვაუჩარის დარიბაბა, რომელსაც არანაირი გრძელვადიანი ეფექტი არ გააჩნია.

მორიგი ლიბერალური, ანუ «აუსდენელი ოცნება»

საქართველოს, როგორც სახელმწიფოს განვითარებას ხელისუფლების არადემოკრატიულ პოლიტიკასთან ერთად აფერხებს სხვადასხვა წონის, ზომის, დასახელებისა და გაურკვეველი იდეოლოგიის მქონე ორ ასეულზე მეტი პარტიული გაერთიანების არსებობა. არადა, ქვეყანას უფრო წაადგებოდა, განსხვავებული იდეოლოგიისა და პოლიტიკური შეხედულების მქონე ორი ან სამი ძლიერი პარტია რომ იყოს ჩართული პოლიტიკურ პროცესებში, ვინაიდან იდეოლოგიათა ჭიდილში საზოგადოებას უკეთ მიეცემოდა სასურველი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა.

მაგრამ საქართველოში დღეს მოღვაწე არც ერთი პოლიტიკური პარტია (ლეიბორისტების გამოკლებით!) აქცენტს სოციალური საკითხების მოგვარებაზე არ აკეთებს. უფრო მეტიც, ისინი კეთილშინაობით გაურბიან მემარცხენე ხასიათის რეფორმების გატარების აუცილებლობაზე მსჯელობას (თუ არ ჩავთვლით პირისთვის გაკეთებულ განცხადებებს). მაშინ, როცა საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი ღარიბი ან ლატაკია, ხოლო ქვეყანაში საშუალო ფენა მოსახლეობის ძალზე მცირე ნაწილს შეადგენს, რაც მემარცხენე ორიენტაციის მქონე პარტიას უქმნის წინაპირობას, ჩამოყალიბდეს ქვეყანაში ძლიერ და ანგარიშგასაწევრ ძალად, ასეთ დროს ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რატომ არის პარტიებისთვის მემარცხენე ხასიათის საკითხებზე აქცენტის გაკეთება მიუღებელი?

რა არის ცუდი იმაში, რომ სახელმწიფოში არსებობდეს სოციალური უზრუნველყოფის განვითარებულ სისტემა, რომელიც მიმართული იქნება სიღარიბის წინააღმდეგ? ასევე არსებობდეს ეფექტიანი საადგილო სისტემა, რომელიც დაეხმარება მოქალაქეებს შემოსავლის დაკარგვის, ავადმყოფობის, უმუშევრობისა და საპენსიო ასაკის დროს? ტერმინი „მემარცხენე“ და „მემარჯვენე“ საფრანგეთის რევოლუციის პერიოდში მოხდა. 1789 წელს დიდგვაროვანთა პირველ კრებაზე განსხვავებული ქონებრივი მდგომარეობის ჯგუფებს განსხვავებული ადგილი ეკავა მონარქის გვერდით. მეფის მხარდამჭერი არისტოკრატები მისგან მარჯვნივ იხდნენ, რადიკალები და მესამე ნოდების წევრები — მარცხნივ. ადგილთა ასეთი განლაგება შენარჩუნდა მომდევნო ფრანგულ თავყრილობებზეც.



პოლიტიკა სსკრეზა ხელდაპოჩენილი პოლიტიკური კალის მიერ აუპარ აპალირაბა ლიბერალიზმზე, თუ კონსერვატიული არა, სასურველი შედეგის მოგანი ვერ იქნება

ციალ-დემოკრატებს საკმაოდ ძლიერი წარმომადგენლობა ჰყავთ ბუნდესტაგში და მნიშვნელოვან როლს თამაშობენ პარლამენტის მეორე პალატა ბუნდესრატშიც. დიდი გავლენა აქვს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე პარტიულ პარტიებს, რომელიც საზოგადოების სათავეშიც იმყოფება. ასევე, ძალიან ძლიერია საფრანგეთში სოციალისტური პარტია და ა. შ.

საქართველო კი უწინ-უძალიად უავტორიტეტო ლიბერალისტული პარტიის „იმედზე“ დარჩენილი, რომელსაც, ქვეყანაში არსებული უმძიმესი სოციალური ფორის მიუხედავად, აქციაზე ათასი კაცის გამოყვანის რესურსიც კი არ გააჩნია.

ლობს, საქართველო „მსოფლიოში ნომერ პირველ რეფორმატორ სახელმწიფოდ“ წარმოაჩინოს, რომლის „განვითარების“ მომდევნო საფეხურს თურმე „ლიბერალი საქართველო“ წარმოადგენს, ჩვენი ქვეყანა კვლავ დამძეული და გალატაკებული მოქალაქეების სახელმწიფოდ რჩება, რომელშიც მოქალაქეებს იმის ფინანსური შესაძლებლობაც არ აქვთ, საკუთარი სახსრებით თუნდაც კბილების პრობლემა მოიგვარონ და ქვეყნის

პირველი პირი იძულებულია „მთავარი სტომატოლოგის“ ფუნქცია თავად იტვიროს.

პოლიტიკურ ასპარეზზე ბიძინა ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ საზოგადოებაში გაჩნდა მოლოდინი, რომ ალტერნატიული პოლიტიკური ცენტრი, რომელსაც აქვს პრეტენზია, შეცვალოს ხელისუფლება, აქცენტს უფრო სოციალური პრობლემების მოგვარებაზე, მოქალაქეთა დასაქმებაზე, წვრილი და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობაზე გააკეთებს, რომელიც შესაძლებელს გახდის, საქართველოში ჩამოყალიბდეს სახელმწიფოს დასაყრდენი ძალა — საშუალო კლასი. მაგრამ ჯერ რამის თქმა ნაადრევია, სანამ ბიძინა ივანიშვილი საკუთარ გუნდს არ ჩამოყალიბებს და საზოგადოებას თავის პოლიტიკურ პლატფორმას არ შესთავაზებს. თუმცა დღეს, როცა მის გარშემო ლიბერალური ძალები არიან ძირითადად კონცენტრირებული, საზოგადოებას გარკვეულწილად ექმნება უარყოფითი შთაბეჭდილება და პესიმიზმის განცდა, რომ „ქართული ოცნება“ ლიბერალური იდეოლოგიის მატარებელი პოლიტიკური მოძრაობა გახდება და არა მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაზე ორიენტირებული ძალა.

საზოგადოებას გაჩვენებულად ექნება უარყოფითი შთაბეჭდილება და პესიმიზმი განსწავ, რომ «ქართული ოცნება» ლიბერალური იდეოლოგიის მატარებელი პოლიტიკური მოქარაბა გახდება და არა მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაზე ორიენტირებული ძალა

თალიბანი ვხად არიან დიალოგისთვის

მოდრაბა „თალიბანმა“ გამოაცხადა, რომ ავღანეთის შიდა კონფლიქტის მშვიდობიანად მოსაწყობებლად დიალოგისთვის ვხად არის, მაგრამ მათ სურთ, საქმე იქონიონ ამერიკის შეერთებულ შტატებთან და არა ქვეყნის ამჟამინდელ მეთაურ ჰამიდ ყარზაისთან. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ საუკუნითი შესაძლებელია, ზომიერი თალიბები ვაშინგტონისთვის პარტნიორებად იქცნენ. „თალიბანის“ წარმომადგენლის, ზაბიულა მუდჯაჰიდის თქმით, ისინი უკვე 15 წელია იბრძვიან ავღანეთში ისლამური სახელმწიფოს შესაქმნელად, ქვეყანაში მშვიდობის დასამყარებლად. მათ მიიღეს დამატებითი პოლიტიკური ზომები და სურთ, საერთაშორისო საზოგადოებრიობა გაგებთ მოეკიდოს მათ ძალისხმევას ავღანეთში შექმნილი ვითარების მოსაწყობებლად.



საფრანგეთის ომი აღარ სურს

საფრანგეთის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის განცხადებით, საფრანგეთი გააკეთებს ყველაფერს, რათა ირანში უცხოური სამხედრო ოპერაცია თავიდან აიცილოს. „საომარი შეჭრა პრობლემის მოგვარების ნაცვლად ქაოსს განავითარებს, როგორც ახლო აღმოსავლეთში, ისე, შესაძლოა, მთელს მსოფლიოში. საფრანგეთი გააკეთებს ყველაფერს, რომ სამხედრო შეჭრა თავიდან აიცილოს“, — აღნიშნა სარკოზიმ. შეგახსენებთ, რომ ამავე დროს საფრანგეთი ირანის წინააღმდეგ სანქციების გამოკვეთვას უჭერს მხარს.

ეს უნდა ითვალისწინებოდა. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მემარჯვენე-ლიბერალური პარტიების არსებობა ქვეყნის განვითარებისთვის ცუდია. არა, რა თქმა უნდა. ამ უკანასკნელის არსებობა კარგიც კია, მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მისი ელექტორატი არ არის მასობრივი, ვინაიდან ისინი ჩვენს ქვეყანაში მცირე ჯგუფს წარმოადგენენ.

ზოგადად, ლიბერალიზმი, როგორც იდეოლოგია, ცუდი კი არ არის თავისი პრინციპებით, არამედ საქართველოს ხელისუფლებისა და მასთან დაახლოებული ძალების რეაქციულ-შოვინისტური პოლიტიკის გამო საზოგადოების თვალში დისკრედიტირებულია. არადა, თანამედროვე ლიბერალიზმისთვის დამახასიათებელია თითოეული ადამიანის აზროვნებისა და გამოხატვის თავისუფლება, ძალაუფლების შეზღუდვა, კანონის უზენაესობა, იდეათა თავისუფალი გაცვლა, საბაზრო ეკონომიკა, რომელიც უზრუნველყოფს თავისუფალ კერძო მენარმეობას, მთავრობის გამჭვირვალებას და მოქალაქის უფლებების დაცვას. ასევე, თანამედროვე საზოგადოებაში (მაგრამ არა საქართველოში) ლიბერალიზმი მხარს უჭერს ლიბერალურ დემოკრატიას ღია და თანასწორი არჩევნებით, რომელშიც ყველა მოქალაქეს კანონით აქვს ერთნაირი უფლებები და თანასწორი შესაძლებლობები წარმატებისთვის.

მართალია, თანასწორობის მიღწევა ყველგან და ყველავფერში შეუძლებელია, მაგრამ, როგორც ზემოთ აღინიშნა, სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებზე, როგორცაა ჯანდაცვის, განათლებისა და ა. შ. ხელმისაწვდომობა, საცხებით შესაძლებელია. ვინაიდან საქართველოში სახელმწიფო მხარდაჭერის და სუბსიდირების გარეშე ვერ იქნება მიღწეული განათლების ხელმისაწვდომობა, საყოველთაო ჯანდაცვა, სოფლის მეურნეობის განვითარებულ დარგად ჩამოყალიბება, ასევე, სოციალური სამართლიანობის, აღმსარებლობისა და სიტყვის თავისუფლების, ადამიანის უფლებებისა და სხვა საშუალოდ უფორმას არ შესთავაზებს. თუმცა დღეს, როცა მის გარშემო ლიბერალური ძალები არიან ძირითადად კონცენტრირებული, საზოგადოებას გარკვეულწილად ექმნება უარყოფითი შთაბეჭდილება და პესიმიზმის განცდა, რომ „ქართული ოცნება“ ლიბერალური იდეოლოგიის მატარებელი პოლიტიკური მოძრაობა გახდება და არა მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაზე ორიენტირებული ძალა.

საერთოდ, ნებისმიერმა პოლიტიკურმა პარტიამ, რომელსაც გამარჯვების მიღწევა სურს, უნდა იცნოს საზოგადოების განწყობა და მათ ინტერესებს უზრუნველყოს.



უზაფეგო და არასწორი იძება, თუ, მაგალითად, სოფლის მეურნეობის მეცნიერთა მიერ ამერიკის რომელიმე შტატში დაფუძნებულ და ამ ზონაში გამართლად ტაქნოლოგიური და საკითხავი (მცირე გამონაკლისის გარდა) ბაზარზე გამოტანა ახალი პროდუქტი. გაუმართლად, უცხოური ტაქნოლოგიის, რაკომინდებული ჯიშის ან ჰიბრიდის ბაზარზე გამოტანა საბარათო სოფლის მეურნეობის ზონაში, მათი ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლის გარეშე, სწორად ამ განსხვავებულ აბროკლიმატურ პირობებში. ამასთან, ეს შესწავლა არ შეიძლება შემოიფარგლოს 1 წლის შედეგებით, იგი უნდა მოიცავდეს სულ ცოტა 2-3 წლის მონაცემებს.

შოთა ჭალაგანიძე: დირექტიული წესით ჰიბრიდული სიმიდის დანერგვას საქართველოში პერსპექტივა არა აქვს!

აგრარული მეცნიერების პრობლემებზე „საქართველო და მსოფლიო“ ესაუბრება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი შოთა ჭალაგანიძე.

— ბატონო შოთა, დიდი ხანია, სამეცნიერო მოღვაწეობით ხართ დაკავებული, ადრე ხელმძღვანელ სახელმწიფო თანამდებობებზე ბრძანდებოდით, იყავით მინისტრიც და ა.შ. ამას იმიტომ ვიხსენებ, რომ თქვენ კარგად უწყით, თუ რა არის წარმოება, ანუ საქმის კეთება, და ამავე დროს ხართ თვალსაჩინო მეცნიერიც, ე. ი. იცით მეცნიერების ფასი. პირდაპირ მინდა გკითხოთ, რა გახდა ქართული აგრარული მეცნიერების დაკნინების მიზეზი?

— ქართული მეცნიერება, ასე ვთქვათ, „შეფერხდა“, მაგრამ, საბედნიეროდ, კიდევ არსებობს. 15 წელიწადი ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის დარგს ხელმძღვანელობდა, ჩვენს სამინისტროს სამეცნიერო მომსახურებას უწევდა სისტემაში არსებული რამდენიმე კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტი, არც ერთ მნიშვნელოვან გადამწყვეტილებას არ ვიღებდით მეცნიერული შესწავლისა და დასკვნების გარეშე.

— მაშინ მეცნიერება საწარმოო ძალად იყო მიჩნეული. როგორ ფიქრობთ, დღევანდელ მეცნიერებას, კერძოდ, აგრარულ მეცნიერებას ხომ არ დაუკარგავს თავისი ფუნქცია?

— შეკითხვა ისეთია, რომ საფუძვლიანი პასუხის გაცემას მოითხოვს, ამიტომ თქვენ და გაზეთის მკითხველებს ვთხოვ აღიჭურვოთ მოთმინებით. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, რომელიც ნახევარი საუკუნის წინ დაარსდა, ოფიციალურად მთავრობის მეცნიერული მრჩეველია აგრარულ საკითხებში. წლების განმავლობაში აგრარულ მეცნიერებათა მიერ მრავალი ისეთი პრობლემა და საკითხი იქნა დამუშავებული და გადაწყვეტილი.

— თუ არ დაავიწყდათ ამასობაში...

— საქართველოში გამოყვანილია სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და პირუტყვის 100-ზე მეტი ახალი ჯიშის, კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის ათეულობით ახალი, კონკურენტუნარიანი პროდუქტები; საქართველო ჩაის მექანიზებული მოვლა-მოყვანის, კრეფისა და გადამამუშავების სამშობლოა: ჩვენთან შექმნილია 50-მდე ახალი მანქანა და ტექნიკური საშუალება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოში ხორბლის არსებული 23 ჯიშისა და საქართველო 14 ჯიშის სამშობლოა, ასევე მევენახეობაში, მესილეობაში და სხვ., რასაც მსოფლიოში შეიძლება ანალოგიც არ გააჩნდეს.

აგრო-ბიოლოგიური კვლევის თვალსაზრისით, ჩვენი ქვეყანა უნიკალური ლაბორატორიაა, სადაც წარმოდგენილია მსოფლიოს ნიადაგების თითქმის ყველა ტიპი და მრავალფეროვანი მცენარეული საფარი. ამ თავისებურებით და, უწინარესად, მეცნიერული კადრების არსებობით იყო განპირობებული, რომ ამიერკავკასიაში აგრო-ბიოლოგიური კვლევის სამეცნიერო ცენტრები პირველად საქართველოში შეიქმნა, დღეს ქართველ მეცნიერთა ნაშრომებს იყენებს მსოფლიოს მრავალი ქვეყანა. ისიც მინდა გითხრა, რომ სსრ კავშირში ერთ-ერთი პირველი სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია შეიქმნა საქართველოში, რომ ჩვენ შევუწყვეთ ხელი მომძივრესაუბლიკებში აგრობიოლოგიური მეცნიერების განვითარებას.

— შთაბეჭქდავი ანგარიშია, ალბათ, უფრო მეტის თქმაც შეგიძლიათ, მაგრამ მითხარით, ბატონო შოთა, როგორ იყენებს თქვენს პოტენციალს ჩვენი მთავრობა?

— პოტენციალისადმი არასწორმა მიდგომამ მიგვიყვანა იქამდე, რომ აღარ ფუნქციონირებს სამეცნიერო სკოლები, სადისერტაციო სამუშაოები, აგრარული მეცნიერების განვითარება მხოლოდ პატარა-პატარა ჯგუფები. მეცნიერი, სამწუხაროდ, აღარ არის, თუ შეიძლება ასე ითქვას, „მიზიდული პროფესია“. ათეულობით საზოგადოებრივი აკადემიკოსები ჰყავს, პრაქტიკულად, არაფრის მაქნისა და მხოლოდ აფერკრთალებს აგრარულ მეცნიერებას.

სამწუხაროდ, პრობლემა ბევრი დაგროვდა, რომელთა ნაწილს აკადემიის განყოფილებებისა და საბჭოს სხდომებზე ვაანალიზებთ, რაც იმის საშუალებას გვაძლევს, რომ მუდმივად ვიყოთ საქმის კურსში. — დააკონკრეტებთ რომელიმე მაგალითით? — რა თქმა უნდა. თქვენმა მკითხველმა უდავოდ იცის, რომ საქართველოში მცირეწიანი ქვეყანაა: ერთ სულზე გადაანგარიშებით, სახნავი 0,14 ჰექტარია. ეს კი ნიშნავს, რომ გასაფრთხილებელია მიწის, მით უმეტეს, სავარჯიშის ყოველი მტკაველი. **ზომიერად დააბრუნებ, რომ მინა მართო მარჩენალი კი არა, საშობოცადაც, გულისხმობს მინდა ვითქვას: ჩვენ ბაჰკირევაბულაბი პართ მინისადმი იმ გულბრილი დამოკიდებულბი, რომელიც საქართველოში არის დღეს დამკვიდრებული.**



— დააკონკრეტებთ რომელიმე მაგალითით?

— რა თქმა უნდა. თქვენმა მკითხველმა უდავოდ იცის, რომ საქართველოში მცირეწიანი ქვეყანაა: ერთ სულზე გადაანგარიშებით, სახნავი 0,14 ჰექტარია. ეს კი ნიშნავს, რომ გასაფრთხილებელია მიწის, მით უმეტეს, სავარჯიშის ყოველი მტკაველი. **ზომიერად დააბრუნებ, რომ მინა მართო მარჩენალი კი არა, საშობოცადაც, გულისხმობს მინდა ვითქვას: ჩვენ ბაჰკირევაბულაბი პართ მინისადმი იმ გულბრილი დამოკიდებულბი, რომელიც საქართველოში არის დღეს დამკვიდრებული.**

— თქვენ რა ნაბიჯები გადადებთ ამ მხარე პრობლემების გადასაწყვეტად?

— აკადემიის დამუშავებული აქვს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების კონცეფცია, რომელიც, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი დოკუმენტია და დეტალურ განხილვას საჭიროებს, მაგრამ ამაზე პრაქტიკულად არაფერი ფიქრობს. არადა, საჭიროა, თუ ვესურს, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობა საქმით გახდეს ქვეყნის განვითარების პრიორიტეტი. აუცილებელია სახელმწიფო მხარდაჭერისა და ზრუნვის გააქტიურება, ახალი ფორმების ძიება, საერთაშორისო გამოცდილების ფართოდ გამოყენება, წარმოების ტექნოლოგიის განხილვა და სხვ. ზემოთ თქმულზე დაყრდნობით უნდა შემუშავდეს სოფლის მეურნეობის განვითარების რეალური სამთავრობო პროგრამა.

თუ მოკლედ ვიტყვით, საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სამი მიმართულება გვესახება ყველაზე პრიორიტეტულად: 1. სტრატეგიული პროდუქციის წარმოება (მარცვლეული, მეცხოველეობის პროდუქტები); 2. საექსპორტო პროდუქციის წარმოება (ჩაისა და ღვინის პროდუქტები, ციტრუსები და ა.

შ.); 3. საკურორტო-ტურისტული ინდუსტრიისთვის აუცილებელი პროდუქციის წარმოება. მოკლედ ასეა.

— უკანასკნელ წლებში მეცნიერებაში განხორციელებულმა რეფორმებმა არ გამოიღო სასურველი შედეგი, დიდი ხანია მეცნიერების გაძლიერების ანგარიში სისტემა. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ჯერ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის დაქვემდებარება, შემდეგ უმაღლეს სასწავლებლებთან მიერთებამ მნიშვნელოვნად შეაფერხა მათი განვითარება.

— ახალს არაფერს ვიტყვი, თუ შეგახსენებთ, რომ სოფლის მეურნეობის, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა დარგის, სიცოცხლისუნარიანობა და წარმატებები მნიშვნელოვანწილად განპირობებულია თითოეული ამ დარგის შესაბამისი მეცნიერების განვითარების დონით, მათ მიერ შესწავლილი და რეკომენდებული ტექნოლოგიების ეფექტიანობით, გამოყენების გავრცელების მასშტაბით, ხარისხით, აგრეთვე, სათანადო ინფრასტრუქტურის არსებობით.

მაგრამ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობა, ქვეყნის მრავალდარგოვანი აგროსასურსათო კომპლექსის სპეციალიზაციისა და ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით, გაცილებით სპეციფიკური და მრავალპროფილიანია. მაგალითისათვის: ახალი, უხვმოსავლიანი ჯიშების გამოყვანისა, თუ არ ვიცით, რა ეკოლოგიურ გარემოში (ნიადაგი, კლიმატი და ა. შ.) შეიძლება მათი გადაადგილება, როგორია მათი მოვლა-მოყვანისათვის, მდგრადი მოსავლის მიღებისათვის საჭირო აგროტექნიკური ღონისძიებები (მანებულ დაავადებებთან ბრძოლა, მექანიზაცია, განყოფილება და სხვ.); მათი სამეურნეო-ტექნოლოგიური მიმართულება, სარეალიზაციო ბაზარი და ა.შ., ე. ი. როგორია კვლევებით დასაბუთებული შეკრული ციკლი, შეუძლებელია მეცნიერული პროცესების შემდგომი განვითარება. ზოგადად, თუ მეცნიერების სხვა რომელიმე დარგში შესაძლებელია, ასე ვთქვათ, ავტონომიური განვითარება, აგრარული დარგის სამეცნიერო ორგანიზაციების საქმიანობა ერთმანეთთან არის დაკავშირებული. სახეზეა, ასე ვთქვათ, ლოგიკური ნრებრუნვა. თუ ფაქტობრივად თითქმის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმას, სად შეისწავლება და და-

მუშავდება მეცნიერების სხვადასხვა დარგში (ფიზიკა, ქიმია, მედიცინა, მათემატიკა და ა. შ.) ნებისმიერი პრობლემა, საკითხი თუ დებულება, მათი მოქმედების ან გამოყენების არაფერი ვრცელდება მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში. განსხვავებული მდგომარეობით ხასიათდება სოფლის მეურნეობის მეცნიერება. პირველ რიგში, ეს არის სოფლის მეურნეობის მეცნიერების მრავალი თეორიული, ზოგადბიოლოგიური დებულებების და, განსაკუთრებით, პრაქტიკული ხასიათის რეკომენდაციების ეფექტიანობის დამოკიდებულება და კავშირი რეგიონის ან ზონის მრავალდარგოვანობასა და ბუნებრივ პირობებთან. ამიტომ შემუშავებული რეკომენდაციები, ჩვეულებრივ, მნიშვნელოვნად განსხვავებულია სხვადასხვა აგროკლიმატურ ზონაში. ეს გარემოება აუცილებელს ხდის, შესასწავლი ყველა საკითხი დამუშავდეს განსხვავებული ბუნებრივი პირობების მქონე ზონების მიხედვით. **უშედეგო და არასწორი იქნება, თუ, მაგალითად, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა მიერ ამერიკის რომელიმე შტატში დამუშავებულ და ამ ზონაში გამართლებულ ტექნოლოგიებსა და საკითხებს (მცირე გამოწვლიანი ხარდა) გავავრცელებთ კახეთში ან იმერეთში. გაუმართლებელია, უცხოური ტექნოლოგიის, რეკომენდებული ჯიშის ან ჰიბრიდის გავრცელება საქართველოს განსხვავებულ ზონებში, მათი ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლის გარეშე, სწორედ ამ განსხვავებულ აგროკლიმატურ პირობებში. ამასთან, ეს შესწავლა არ შეიძლება შემოიფარგლოს 1 წლის შედეგებით, იგი უნდა მოიცავდეს სულ ცოტა 2-3 წლის მონაცემებს. გამოთქმულ მოსაზრებებს ადასტურებს ისიც, რომ სიმინდის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია საკმაოდ განსხვავებულია, სახეზეა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოშიც კი. ამასთან ხაზგასასმელია, რომ სოფლის მეურნეობაში ზოგიერთი კვლევითი საშუალო, თავისი სპეციფიკურობის გამო, ხანგრძლივ დროს — 5-10 და მეტ წელს მოითხოვს.**

აღნიშნულიდან გამომდინარე, **დიდი მნიშვნელობა არ სჭირდება იმას, რომ ფართოდ რეკომენდებული და დირექტიული წესით ჰიბრიდული სიმინდის დანერგვას საქართველოში პერსპექტივა არ აქვს.** სამწუხაროდ, აკადემია დღეისთვის მნიშვნელოვნად არის ჩამოცილებული ამ ყველაფერს. ჩვენ მიერ საკითხის მრავალგზის დაყენებამ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინაშე, სამწუხაროდ, შედეგი ვერ გამოიღო. რას ვიზამდით! ასეთი იყო სამინისტროს ხელმძღვანელობის პოზიცია.

შედეგად აი რა მივიღეთ: **2005 წელთან შედარებით, რომელსაც ინსტიტუტში გაყვანილი იქნა აკადემიის სისტიმისად, ამაჰანად თანამშრომელთა რაოდენობა 1153-დან 630-მდე შემცირდა.** უყურადღებობის შედეგად ზოგიერთ სამეცნიერო დანესტრუქტურაში ადგილი ჰქონდა სამართალდარღვევებს, ბევრი ინსტიტუტი თითქმის დახურვის საშიშროების წინაშეა და სხვ.

ერთი სიტყვით, დღევანდელ სამეცნიერო ცხოვრებაში, სარეველა ბალახებით თუიჭრარევი პრობლემებისა თუ მიზეზებისა, რის გამოც ბევრი მეცნიერი უმოქმედდ, მომლოდინე მდგომარეობაში აღმოჩნდა. სახეზეა მეცნიერების ფინანსირების მკვეთრი უკმარისობა, კადრების განთესვა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოშლა და მრავალი სხვ. მოვადრო და ეკონომიკა ნამოინევს, გაიმართება, მაშინ დაგვეჩრდება მეცნიერებიც, კონსტრუქტორებიც, მათი ცოდნაც, ახალი ტექნოლოგიებიც, სათანადო დონის სპეციალისტები კი აღარ გვეყოლება.

ამიტომ ყველა ცვლილება მეცნიერებაში მოფიქრებულად და სათუთად გასატარებელია არსებული დადებითი გამოცდილების, დადგენილი წესებისა და კანონების, აკადემიებისა და მათი წევრების აზრის გათვალისწინებით.

ესაუბრა არაჰა ხანაბლიძე



ზომიერად დააბრუნებ, რომ მინა მართო მარჩენალი კი არა, საშობოცადაც, გულისხმობს მინდა ვითქვას: ჩვენ ბაჰკირევაბულაბი პართ მინისადმი იმ გულბრილი დამოკიდებულბი, რომელიც საქართველოში არის დღეს დამკვიდრებული



მსოფლიოში ნავთობის ფასის ზრდასთან ერთად ეკონომისტიები მოსალოდნელ ახალ მსოფლიო კრიზისზე ალაპარაკდნენ. როდესაც აშშ-მა თავის ნატოელ პარტნიორებთან ერთად ლიბიაში სამხედრო ოპერაცია დაიწყო, მრავალი ადამიანი გაოცდა, რადგან ამერიკელები ისედაც ანარმობდნენ უკვე ორ ომს ავღანეთსა და ერაყში. რაც შეეხება ბარაკ ობამას, მან არჩევნებში იმ დაპირების წყალობით განმარჯვდა, რომ გუშინაულ სამთავრობო პოლიტიკაზე უარს იტყობდა და, სულ მცირე, ერაყიდან მინც გაიყვანდა ჯარებს. მდგომარეობას ისიც ამწვავებს, რომ აშშ-ის საგარეო ვალი განუხრავლად იზრდება და, უკვე კარგა ხანია, გადააჭარბა 14 ტრილიონ დოლარს.

თავისუფალი გადნობა-გაყვანა: ორბუჯის საბოლოო სეზონი

თუ ირანი ორბუჯის სრულტეს გადაკეტავს, ამით, პირველ რიგში, ამერიკული ნავთობისა და გაზის კომპანიები და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი ისარგებლებენ. წარმოიშობა კრიზისი, რომლის დახმარებითაც აშშ ეკონომიკური ზრდისა და თვით უზარმაზარი სახელმწიფო ვალის პრობლემის მოგვარებასაც კი შეეცდება.

აშშ ევროპასა და აზიაში თავისი მოკავშირეებისგან ითხოვს, — უარი თქვან ირანული ნავთობის შექცენაზე, რათა ირანს საკუთარი ბირთვული პროგრამის შეჩერება აიძულოს. თუ თეირანის წინააღმდეგ სანქციებს მიიღებენ, ირანის ხელმძღვანელობა ორბუჯის სრულტეს გადაკეტვით იმუქრება. ამ სრულტით მთელი მსოფლიოს ნავთობის საზღვაო ტრანსპორტირების 45 პროცენტი ხორციელდება. ამასთან, არ არსებობს არანაირი მტკიცებულება, რომ ირანი ბირთვულ იარაღს ქმნის. ამერიკელები, უკვე რამდენიმე წელია, ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე, ადანამაშებენ ირანის ხელმძღვანელობას ატომური ბომბის შექმნის მცდელობაში. როგორც ცნობილია, აშშ მასობრივი განადგურების იარაღის წარმოებაში ადანამაშებდა სადაც მუსლიმანსაც, როდესაც ის ერაყის სათავეში იდგა. შედეგი ცნობილია: აშშ-მა ირანის ოკუპაცია მოახდინა, მაგრამ მასობრივი განადგურების იარაღი იქვე არ აღმოაჩინა.

ვის ნატოელ პარტნიორებთან ერთად ლიბიაში სამხედრო ოპერაცია დაიწყო, მრავალი ადამიანი გაოცდა, რადგან ამერიკელები ისედაც ანარმობდნენ უკვე ორ ომს ავღანეთსა და ერაყში. რაც შეეხება ბარაკ ობამას, მან არჩევნებში იმ დაპირების წყალობით განმარჯვდა, რომ ბუშისეულ საომარ პოლიტიკაზე უარს იტყობდა და, სულ მცირე, ერაყიდან მაინც გაიყვანდა ჯარებს. მდგომარეობას ისიც ამწვავებს, რომ აშშ-ის საგარეო ვალი განუხრავლად იზრდება და, უკვე კარგა ხანია, გადააჭარბა 14 ტრილიონ დოლარს.

სინამდვილეში, აშშ ამ დრომდე სამხედრო დანახარჯებს მსოფლიო ზრდასა და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსზე უფრო მეტს ხარჯავდა, ვიდრე მთელი დანარჩენი მსოფლიო ერთად. და თუ გომბახი ინარმობა, ისინი უნდა ავითქვან კიდევ, წინააღმდეგ შემთხვევაში სასაზღვაო გზები გადართობა.

ამ ყველაფერმა შესაძლებელი გახადა ამერიკული კორპორაციების ტოპ-მენეჯერებისა და აქციონერების შემოსავლების მკვეთრი ზრდა. შედეგად, ამერიკის სამრეწველო სექტორში სამხედრო წარმოების წილი ძალიან დიდია. სამხედრო ბიუჯეტის შემცირების მცდელობებს ეწინააღმდეგებიან ლობისტები, რომლებიც ხელისუფლებას სამუშაო ადგილების შემცირების ემუქრებიან. კორპორაციების მფლობელებს არ შეუძლიათ ეს საწარმოები სხვა ქვეყნებში გადაიტანონ, რადგან სამხედრო საიდუმლოებების გაჟონვის რისკი იქმნება; არც სურთ, რადგან სახელმწიფოსთვის



თუ ირანი ორბუჯის სრულტეს გადაკეტავს, ამით, პირველ რიგში, ამერიკული ნავთობისა და გაზის კომპანიები და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი მოიგებს

ირანის მიყიდვა ისედაც ძალზე მომგებიანი საქმეა. მაგრამ რაღა ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ნავთობიან რაიონებში ანარმობს აშშ ომებს? ეს ხომ აუცილებლად გამოიწვევს ნავთობზე ფასის მომატებას?

ამას რამდენიმე მიზეზი აქვს: ჯერ ერთი, ამერიკული საერთო შიდა პროდუქტის ენერგომოცულობა განუხრავლად იკლებს, რაც სამრეწველო დანახარჯების მკვეთრ ზრდას გამოიწვევს. მეორეც, ძვირადღირებული ნავთობი მომგებიანია იმ კომპანიებისთვის, რომლებიც ნავთობს აშშ-სა და მეზობელ კანადაში მოიპოვებენ. ჩრდილოეთ აფრიკაში ძალიან ბევრია ევრეთ ნოდებული მძიმე ნავთობი და ნავთობიანი ქვიშა, რომელთა გადამუშავება მხოლოდ იმ შემთხვევაში მომგებიანი, თუ ერთი ბარელი ნავთობი, სულ მცირე, ასი დოლარი ეღირება. მესამეც, ახლო აღმოსავლეთში მდგომარეობის დესტაბილიზებმა აშშ ხელში ჩაიგდებს

ნავთობის მსხვილ იმპორტიორებზე — ევროკავშირზე, ჩინეთსა და იაპონიაზე ზეწოლის მძლავრ ბერკეტებს. ახლა ამ ქვეყნების ენერგეტიკული უსაფრთხოება პირდაპირ ამერიკული სამხედროების ნარმატებაზე იქნება დამოკიდებული. ამასთან, შეგახსენებთ, რომ სწორედ ამ ქვეყნების მართებს ამერიკის ტრილიონობით დოლარი.

ახლს ამერიკას ხელს აძლევს ორბუჯის სრულტეს გადაკეტვა. იმ შემთხვევაში, თუ ირანი სრულტეს გადაკეტავს, საულის არაბეთიდან, ბაჰრეინიდან, ერაყიდან, ყატარიდან, კუვეითიდან და არაბეთის გაერთიანებული საემირატებიდან შეიძლება ნავთობის ტრანსპორტირება, ნარმონიშნება და ფიცითი და ფასები მომენტალურად გაიზარდება. შესაძლოა, ეს არც მოსდეს, მაგრამ ამ თემაზე საუბარი და ურთიერთშუქარაც კი ნავთობზე ფასის ზრდის ტენდენციას აძლიერებს. ამგვარ პი-

რობებში რთულად მოსაპოვებელი ნახშირწყალბადების მიღება ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონიდან სავსებით რენტაბელი საქმე გახდება.

საუბარია ფიქალის ნავთობსა და გაზზე, რომელიც დიდი რაოდენობით მოიპოვება ჩრდილოეთ ამერიკისა და კანადის ტერიტორიებზე, ასევე ნავთობიან ქვიშაზე. ბოლო პერიოდში ამერიკელებმა მკვეთრად უმატეს საკუთარ ტერიტორიაზე ფიქალის გაზის მოპოვებას და შედეგად აშშ-მა პრაქტიკულად უარი განაცხადა ბუნებრივი გაზის იმპორტზე. ბუნებრივი გაზის წარმოების

წლი მრეწველობის სანარმოები ყველა დონის გადასახადების სახით 933 მილიარდ დოლარს გადაიხდია.

2010-დან 2035 წლამდე პერიოდში დარგში დაახლოებით 1,9 ტრილიონი დოლარი ჩაიდება და უკვე 2015 წლისათვის კაპიტალური დანახარჯები წელიწადში 48,1 მილიარდ დოლარს შეადგენს. ამჟამად დარგში ამერიკელებმა დაახლოებით 600 ათასი ამერიკელი, 2035 წლისათვის კი სამუშაო ადგილი უზრუნველყოფილი იქნება, სულ მცირე, 1,6 მილიონი მოქალაქე. ფიქალური გაზის წლი აშშ-ის მთელ მოპოვებაში 2010 წლის 27%-დან 2011 წელს 34%-მდე გაიზარდა. პროგნოზების თანახმად, 2015 წლისთვის ეს მაჩვენებელი 43%-ს, 2035 წლამდე კი — 60%-ს მიაღწევს. 2010 წელს ფიქალური გაზის მოპოვებამ ქვეყნის საერთო შიდა პროდუქტს 76,9 მილიარდი დოლარი შეჰმატა, 2035 წლამდე კი ეს მაჩვენებელი შესაძლოა 231,1 მილიარდამდე გაიზარდოს.

ფიქალური გაზის მოპოვების ზრდა ხელს შეუწყობს სანავთობის ამ სანაშობაზე ფასების კლებას, რაც საშუალებას მისცემს ყველა საოჯახო მშენებელი წინააღმდეგობა თითოეული ოჯახისათვის წლიწარ დაახლოებით 926 დოლარი დაუზოგოს. 2035 წლამდე შემოსავლის გაზრდასთან დაკავშირებული რისკები.

თუ ფიქალური გაზის ფიქალური ნავთობზე დაემატება, გამოვა, რომ ეს სექტორი გადაამწყვეტ ადგილს დაიკავებს სამუშაო ადგილების შექმნის თვალსაზრისით. თუმცა არსებობს ეკოლოგიური რისკები. ფიქალური გაზის მოპოვების ტექნოლოგია ითვალისწინებს ფიქალის მასშტაბურ ჰიდროგახლეჩას. 900-1000 ტონა წყალი უნდა ჩაიტყობოს გაზის გამოსადგენად.

ამასთან შეგუება კიდევ შესაძლებელი იქნებოდა, სამუშაოდ ჩვეულებრივი წყალი რომ გამოიყენებოდა, მაგრამ ამ წყალს აუცილებლად ემატება ქიმიური რეაგენტები, რამაც, შესაძლოა, IHS Global Insight-ის ანალიტიკოსებმა, რომელთა კვლევის თანახმადაც, 2035 წლისთვის აღნიშ-



რატომ არ გამოიყვანს აშშ რაიკა პრეტენციებს პაქისტანის მიმართ და მიუანეიარებლად ზრდის თავისი სამხედრო ბიუჯეტს რაოდენობას ირანის სიასლოვანს?

მსოფლიოში ნავთობის ფასის ზრდასთან ერთად ეკონომისტები მოსალოდნელ ახალ მსოფლიო კრიზისზე ალაპარაკდნენ. როდესაც აშშ-მა თავის



მაშ, ვის ინტერესებთ, რომ პერიოდულად გაცოცხლდეს მითი ირანული ზომების შესახებ? ეს, პირველ რიგში, სჭირდება აშშ-ს, რომელიც ირანის მხრიდან ბირთვული თავდასხმისაგან თავდასაცავად ეპროკაზი რაკეტისა და სხვა სახის თავდასაცავის სისტემას აშენებს. ამავე დროს, ეს ის სარკაა, რომელიც ყურადღებით იყურება ირანი. მას შემთხვევით არ დაუწყია სამხედრო სწავლებები შორეული მოქმედების რაკეტების გაშვებით, რითაც აშშ-ისა და მისი მოკავშირეებისათვის საკადრისი პასუხის გამცემი სახელმწიფოს იმიჯს იმყარებს. ასე ცდილობს ის რეგიონში ლიდერის პოზიციის მოპოვებას.

ტროლოდ ნაწილები მინის ქვეშ და ხშირად წყალსაც ერევა. ამერიკაში უკვე ცნობილია შემთხვევები, როდესაც ონკანიდან წყალი გაზთან ერთად მოედინება, თანაც გაზი იმდენია, რომ მას, შესაძლოა, ცეცხლიც კი მოეკიდოს. ამიტომ აშშ-შიც კი, სადაც ეკოლოგია ევროპის მსგავსად დიდად არ აღარ დებთ, ნიუ იორკის რაიონში ამ გაზის მოპოვება აიკრძალა.

უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ამერიკელები განუხრებლად ამცირებენ ნავთობის იმპორტს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან და აფრიკისა და ლათინური ამერიკის მონოპოლიზაციას არჩევენ სამხრეთის საზღვრების გახსნას. მაგრამ რა ქნან ნავთობის სხვა მსხვილმა იმპორტორებმა — ევროკავშირმა, ჩინეთმა და იაპონიამ? მათი ეკონომიკა მჭიდროდა მიბმული სპარსეთის ყურსიდან მონოდებზე. ცხადია, რუსეთი ნავთობის ექსპორტის მსოფლიო ბაზარზე მკვეთრად ვერ გაზრდის. რაც შეეხება გაზს, ამ მხრივ რუსეთს მსოფლიოში ყველაზე დიდი მარაგი აქვს, თუმცა მინოდებათა მკვეთრი გაზრდისთვის გარკვეული დრო იქნება საჭირო.

ამჟამად რუსული გაზსადგენები მხოლოდ ევროპისა და თურქეთისაკენ მიდის, ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ქვეყნებში რუსეთის გაზის შესყიდვა გაიზრდება. ასეც მოხდა, როდესაც მუშაობა შეწყვიტა ლიბიის იტალიასთან დამაკავშირებელმა გაზსადგენმა. აზიანების ოკეანის რეგიონის სახელმწიფოები კი მხოლოდ ამერიკული სამხედრო ფლოტის იმედად არჩებიან. სწორედ მას შეეძლება ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირება ორმუხის სრუტით. საკითხავი სწორედ ისაა, თუ რის მოითხოვს ამერიკელები ამის სანაცვლად?

პრინციპში, აშშ-ის პოლიტიკა სავსებით პროგნოზირებადია, თუ მას ამერიკული ელიტის სარგებლის თვალსაზრისით განვიხილავთ. აშშ-ს ყველაზე მძლავრი შეიარაღებული ძალები ჰყავს. ამერიკის სამხედრო ბიუჯეტი სხვა ყველა ქვეყნის სამხედრო ბიუჯეტებს, ერთად აღებული, აღემატება. ამერიკის უმთავრესი ძალა მისი ფლოტია, რომელიც ყველა ზღვა-სა და ოკეანეში ბატონობს.

უკანასკნელ პერიოდში ამერიკელი სტრატეგების პუბლიკაციებში დგება საკითხი: რომელი ქვეყნები არიან ყველაზე მეტად დამოკიდებული საზღვაო მინოდებზე? პასუხი მარტივია — ჩინეთი და იაპონია. ეს ქვეყნები ძალზე ძლიერად არიან დამოკიდებული ენერჯორესურსებისა და ნედლეულის იმპორტზე.

ამ ყველაფრის შემდეგ დგება საკითხი, თუ როგორ დაფარავს თავის უზარმაზრ საგარეო ვალს ამერიკა? ერთი ვარიანტი გადასახადების მნიშვნელოვნად გაზრდა და დანა-

ხარჯების შემცირება, მაგრამ არც რიგითი ამომრჩევლები და არც მსხვილი ბიზნეს-მენები ამ გეგმას მხარს არასდროს დაუჭერენ. მეორე ვარიანტი საბჭოთა მანქანის ჩართვა და პიპერინფლაციისთვის გზის გახსნაა. ხელი-სუფლება, რომელიც ამის გაკეთებას შეეცდება, მალე აღიგვება პირისაგან მინისა სახალხო აღშფოთების შედეგად. გარდა ამისა, უცხოელმა კრედიტორებმა შესაძლოა, უარი თქვან გაუფასურებული დოლარის მიღებაზე და რაიმე ფასიანი აქტივები მოითხოვონ. მათი დარწმუნება — მიიღონ მწვანე ქაღალდები, მხოლოდ სამხედრო მუქარის საშუალებით გახდება შესაძლებელი. მესამე ვარიანტი აშშ-ის გაკოტრებულად გამოცხადებაა. ამ შემთხვევაში უცხოელები უცხოეთში ამერიკული აქტივების გაყინვას დაინყებენ და მათ გადასარჩენად კვლავ სამხედრო ძალა გახდება საჭირო. მეოთხე ვარიანტია, აიძულონ სხვა ქვეყნები, ისაღონ ფული ამერიკული ჯარისა და ფლოტის შესახად. ეს კი შესაძლებელია და აი — როგორ:

ნარმოვიდგინოთ, რომ სატრანსპორტო გემებს თავს დაესხმიან არა სომალელი მეკობრეები, რომლებიც მსუბუქი იარაღით არიან აღჭურვილნი, არამედ რაკეტებით აღჭურვილი ტერორისტები. ისინი არ მოითხოვენ გამოსასყიდს, ისინი მხოლოდ გემებს ჩაძირავენ. ამასთან, პირველ რიგში, ნადირობა იმ გემებზე გამოცხადდება, რომლებიც ჩინეთისა და იაპონიისკენ მიცურავენ. ამერიკელები მზად იქნებიან, დაეხმარონ ამ ქვეყნებს ახალ საფრთხესთან ბრძოლაში, ოღონდ, ცხადია, არა უსასყიდლოდ.

შესაძლოა, ეს ვარიანტი ვინმეს წმინდა ფანტაზიად მოეჩვენოს, მაგრამ ვინ წარმოიდგენდა, რომ ტერორისტები ამერიკის საგაჭრო ცენტრს გაანადგურებდნენ, ამერიკა კი ერაყისა და ავღანეთის ოკუპირებას განახორციელებდა? გარდა ამისა, ისტორიაში მსგავსი მაგალითი უკვე არის. ყველა კარგად იცის, რომ აშშ მორალურ მსოფლიო ომში მას შემდეგ ჩაერთო, რაც იაპონელებმა პერლ-ჰარბორს შეუტყეს, მაგრამ რატომ გადაწყვიტეს იაპონელებმა ამის გაკეთება, ბევრმა ნამდვირად არ იცის. იაპონიის ხელისუფლებას მშვენივრად ესმოდა, რომ აშშ მასზე ძლიერია, მაგრამ რატომღაც მინიცი გადმავიწყდა ომი.

სინამდვილეში მას, უბრალოდ, არ ჰქონდა არჩევანი. 1941 წლის სექტემბერში ამერიკამ იაპონიისათვის ნავთობის მინოდების ბლოკირება განაცხადებდა. საკუთარი საბადოები იაპონიას არ ჰქონდა. არებული მარაგი 1943 წლის დასაწყისამდე იყო საკმარისი, ამიტომ 1941 წლის დეკემბერში იაპონელებმა პერლ-ჰარბორზე იერიში მიიტანეს, რათა ამერიკული ფლოტის ნეიტრალიზება მოეხდინათ და აზიაში ნავთობის საბადოების მიტაცება დაეწყათ.

თეირანთან რეი გალაილო: რის მიღწევას სურს აშშ-ს?

ცნობა იმის შესახებ, რომ აშშ-მა და ისრაელმა ერთობლივი მასობრივი სამხედრო სწავლებები „Austere Challenge 12“ ზაფხულისთვის გადადეს, მოულოდნელობად იქცა მათთვის, ვინც ირანთან ამერიკის ან ისრაელის ომის დაწყებას პროგნოზირებდა. კიდევ უფრო საკვირველი იყო ამ გადაწყვეტილების მიზეზი — ირანთან კონფლიქტის ესკალაციის თავიდან აცილება. უფრო მეტიც, როგორც „The Wall Street Journal“-ი წერს, აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას, პენტაგონის შეფ ლეონ პანეტას და სხვა მაღალჩინოსნებს ინტენსიური მოლაპარაკებები ჰქონდათ ისრაელის პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნათანიაშუსთან და გააფრთხილეს, ირანთან მიმართებაში ცალმხრივი ნაბიჯები არ გადადგას, რადგან ირანს დრო სჭირდება მოლაპარაკებების დასაწყებად.



ირანელი სამხედროები

ირანს შემთხვევით არ დაუწყია სამხედრო სწავლებები შორეული მოქმედების რაკეტების გაშვებით, რითაც აშშ-სა და მისი მოკავშირეებისათვის საკადრისი პასუხის გამცემი სახელმწიფოს იმიჯს იმყარებს

მოლაპარაკებების ადგილად ირანის პარლამენტის სპიკერს თურქეთში ვიზიტისას თურქეთი შესთავაზეს, ობამა კი ამ საკითხს ერდოღანთან სატელეფონო საუბრისას განიხილავდა.

ეს ყველაფერი იმის ნიშანია, რომ ირანმა თურქეთი გადაიბირა და დასავლეთის ირანზე ზენოლა სუსტდება. ატომური ენერჯის სააგენტომ გამოაცხადა, რომ ირანმა ურანის 20 პროცენტამდე გამდიდრება დაიწყო, მაგრამ იქვე დასძინა, რომ ყველა ბირთვული კომპონენტი სააგენტოს მეთვალყურეობის ქვეშაა. ამ განცხადების შემდეგ არ უნდა გაჩენილიყო კომენტარები, რომ ირანთან ომის საკითხი უკვე გადაწყვეტილია და აშშ დიდძალი წინადადებას ამოიწვევდა ამ ომს.

პარადოქსი ისაა, რომ ირანი არ ასაიდუმლოებდა ფორდოში მდებარე ქარხანას და გასული წლის ბოლოს მას ატომური ენერჯის სააგენტოს ექსპერტებიც სტუმრობდნენ და მათი კამერები 24 საათის განმავლობაში აკონტროლებდნენ ობიექტს.

ჯერ კიდევ 2011 წლის შუა პერიოდში ირანის მასშტაბიანი უკვე წერდა, რომ ირანის ბირთვული პრობლემა ძალისმიერი მეთოდებით უნდა გადაჭრილიყო, ვიდრე გვიანი არ იყო. მაშინ აშშ-მა მრავალსტადიანი კომბინაციის წყალობით განმუხტა სიტუაცია. ახლაც ახალი სანქციების ამოქმედებით აშშ ძველ სცენარს ახორციელებს. ერთი შეხედვით თითქოს ყველაფერი კონფორტა-

ციისკენ მიდის. ირანულ ნავთობზე ამერიკისა და ევროპის მხრიდან ემბარგოს დაწესების შემთხვევაში ირანმა კიდევ ერთი ინტერესი გამოავლინა — სრულად დასაბრუნოს ბირთვული ენერჯის პროგრამაში სამხედრო შეზღვევის არსებობა ამ დრომდე ვერავინ დაამტკიცა.

მაშ ვის ინტერესებთ, რომ პერიოდულად გაცოცხლდეს მითი ირანული ზომების შესახებ?

ეს, პირველ რიგში, სჭირდება აშშ-ს, რომელიც ირანის მხრიდან ბირთვული თავდასხმისაგან თავდასაცავად ევროპაში რაკეტისაგან დამცველ თავდაცვის სისტემას აშენებს. ამავე დროს, ეს ის სარკაა, რომელიც ყურადღებით

იყურება ირანი. მას შემთხვევით არ დაუწყია სამხედრო სწავლებები შორეული მოქმედების რაკეტების გაშვებით, რითაც აშშ-სა და მისი მოკავშირეებისათვის საკადრისი პასუხის გამცემი სახელმწიფოს იმიჯს იმყარებს. ასე ცდილობს ის რეგიონში ლიდერის პოზიციის მოპოვებას.

როდესაც ირანის მხრიდან საფრთხის არგუმენტები ქრება, ევროპაში რაკეტისაგან დამცველ თავდაცვის პროექტის განხორციელებისთვის მიზეზი აღარ რჩება. საუბარი რომ ნამდვილად ირანის ბირთვულ პროექტს ეხებოდეს, მასთან გამკლავება გაცილებით მოსაზრებელი იქნებოდა მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისამდე და არა აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში, როდესაც ობამა ცდილობს, როგორც თავზე მშვიდობისმყოფელის გვირგვინი შემოინახოს.

ახლანდელ ამერიკულ-ირანულ ესკალაციაში გვერდითი მოვლენები ყოფნას. რეგიონში თავისი ინტერესების შესახებ უფრო ხმაველა აცხადებს ჩინეთი. ეს მისთვის პირველი მონაწილეობაა ახლო აღმოსავლეთის დიდ თამაშში. რეგიონში ძალთა გადაჯგუფება დაიწყო — საბერძნეთი ისრაელს უახლოვდება, თურქეთი კი — ირანს. ცნობილია, რომ თურქეთსა და ირანს შორის განხეთქილების საბაზი სირია იყო. ახლა ობამა და თურქეთის მთავრობის მეთაური ერდოღანი მხარს უჭერენ „სირიელი ხალხის სამართლიან მოთხოვნას“. მეორე მხრივ, ანკარას დიალოგი აწყო თეირანთან, რაც სირიის პრობლემაზე შე-

თანხმების გარეშე ვერ მოხდებოდა. ასადის რეჟიმი რომც დაემხო, თურქეთი ირანის გარეშე სირიაში თავის ინტერესებს ვერ განაცხორციელებს. ირანისა და აშშ-ს შორის ამერიკული ჯარის გასვლაში კი, რასაც ქართველები სახელმწიფოს შემადგენელი პარტიების აქტუალური ციხის მოსაღვს, ირანი თურქეთის ერთობლივ მოქმედებას მხარს უჭერს. ამიტომ თურქეთის მცდელობები, შეასრულოს რეგიონის როლი დასავლეთის ქვეყნებსა და ირანს შორის მოლაპარაკებებში და გაეროს უშიშროების საბჭოში ირანის სანაწილადგოვად დამატებითი სანქციების შემოღებაზე მისი უარი ნიშანდობლივი ნაბიჯებია.

უფრო მეტიც, თურქული დიპლომატია ცდილობს, ურთიერთობები დაამყაროს ახალ შუა აღმოსავლეთთან ანტიამერიკული და ანტიისრაელური განწყობების ფონზე. მომავალში შექმნილი სიტუაცია აუცილებლად განაპირობებს მრავალნიშნულ დიპლომატიურ პროცესის დეტონირებას და კიდევ უფრო დაამორებს თურქეთსა და ირანს სპარსეთის ყურის არაბულ მონარქიებთან. ადრე დამასკოში ხელმძღვანელობის ჩამოგდების ინიციატივის ცენტრი არაბულ სამყაროში, არაბულ სახელმწიფოთა ლიგაში იყო. ახლა შესაძლოა ყველაფერი საპირისპიროდ შეტრიალდეს. ასე რომ, თეირანის ეგრეთ წოდებული „ბირთვული დოსიე“ მომავალშიც მრავალჯერ შეიძლება გამოდგეს.

IA REGNUM

ამერიკის უმთავრესი ძალა მისი ფლოტია, რომელიც ყველა ზღვასა და ოკეანეში ბატონობს



ვის ინტერესებთ, რომ პერიოდულად გაცოცხლდეს მითი ირანული ზომების შესახებ?



უკვეცია თუ არა ნიგერიულ მოვლენებში ვაჭრობის უსილაპი ხელი? ამ კითხვას აუცილებლად სჭირდება პასუხი, რადგან აშშ-ის ოფიციალურ წარმომადგენლებს ჯერ არ გაუქმებიათ კომენტარები ნიგერიაში მიმდინარე მოვლენებზე და ძველანა ჯერაც მიიჩნევენ აფრიკაში დემოკრატიის საყრდენად. ლიბიის მოვლენების ნიგერია ნათოსა და აშშ-ის მოქმედებებს დაუჭირა მხარი. მიუხედავად ამისა, აშშ-ს გარკვეული მოტივები მაინც აქვს იმისათვის, რომ ნიგერიის პოლიტიკურ „ტრანსფორმაციაზე“ იზრუნოს. ამ მოტივებს შორის პირველ ადგილზე ნიგერიისა და ჩინეთის არანახულად მზარდი თანამშრომლობაა.

ნიგერიას ჩინეთთან მემორანდუმისთვის დასჯიან

შეუძლებელია, აშშ-ს არ აღეგნებდეს ნიგერიის ჩინეთზე ორიენტირება, ნიგერიული ხელისუფლების „დემოკრატიული იმიჯი“ კი სავსებით შესაძლებელია სულ რამდენიმე კვირაში გაანადგუროს დასავლურმა მასმედია. მით უფრო, რომ ქვეყნის რეპუტაცია — კორუფციაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული — უკვე საკმარისი დახმარებაა ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლის მოთხოვნისათვის საძირკვლის ჩასაყრელად. ამიტომ, არ ღირს გაკვირვება, თუ ერთ მშვენიერ დღეს მსოფლიო საზოგადოება უცრად ჩათვლის, რომ ნიგერიის პრეზიდენტმა „ლეგიტიმურობა დაკარგა“, ქვეყანა კი გარეშე მეთვალყურეობით „დემოკრატიულ გარდასახვას“ საჭიროებს.

უკანასკნელ პერიოდში ეკონომისტიკისა და ენერჯეტიკული ბაზრის ანალიტიკოსების ყურადღება სპარსეთის ყურის რეგიონზე იყო მიჯაჭვული. გაჩაღდა თუ არა ახალი ომი ახლო აღმოსავლეთში? გადაკეტავს თუ არა ორ-მუხის სრუტის ისლამური რეკონსტრუქციის მცდელობა კორპუსი? დაუჭერენ თუ არა მხარს ამერიკის მოკავშირეები ირანის ნავთობით ვაჭრობაზე ემბარგოს? რა შედეგებს გამოიწვევს ამ გეგმებიდან ერთ-ერთის ან ყველას განხორციელება? სწორედ ეს კითხვები იყო უმთავრესი უკანასკნელი თვის განმავლობაში, მაგრამ მსოფლიო ნავთობის ბაზრების სტაბილურობაზე დარტყმა აბსოლუტურად მოულოდნელი კუთხიდან განხორციელდა.

ტი არ განაპირობოს. ამგვარი ინციდენტებიდან ყველაზე ხმაურიანი ის შემთხვევა გამოდგა, როდესაც მილსადენიდან მის სიახლოვეს მდებარე სოფლისათვის თვითნაკეთი სისტემით ნავთობის გამოქაჩვის შედეგად ასზე მეტი ადამიანი დაიღუპა. ამ შემთხვევის შემდეგ ნიგერიაში ბენზინის ფასი გაორმაგდა და რამდენიმე თვის განმავლობაში ასეც დარჩა.

ქვეყანაში არსებობს პროფესიონალთა ბანდები, რომლებიც მუდმივად აყაჩაღებენ ნავთობსადენებს და ამით ქვეყანას მთელი მოპოვებული ნავთობის 10 პროცენტს აკარგვინებენ. 2007 წელს დანაკარგებმა რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია — „მარცხნივ“ გაედინა ნლის განმავლობაში მოპოვებული მთელი ნავთობის 25 პროცენტი. „ნიგერიის დელტის ბათავი-სიფულისათვის მარჯვ-ქმლთა“ ბოვიკები მუდმივად ასორცილებენ თანამდებობის პირობას. ამ პირობამ მოსახლეობა ვერ დააკმაყოფილა.

საგოგლოდან წასული ქაზის წუხილი

მადლობელი ვარ, რომ ჩემი პირველი წერილი გამოაქვეყნეთ თქვენს გაზეთში. გწერთ მეორედ. არ მეგულება საზღვარგარეთ მცხოვრები არც ერთი ჩვენი თანამემამულე, რომელიც არ აღმერთებს თავის სამშობლოს.



აი ერთი მაგალითი: 1946 წელს, პარიზში ყოფნისას, შევხვდი საქართველოს დელეგაციას, რომელსაც პეტრე შარია ხელმძღვანელობდა. იგი ჩამოსული იყო იმ ისტორიული განძის საქართველოში დასაბრუნებლად, რომელიც თავის დროზე მენშევიკებმა გაიტანეს საზღვარგარეთ. მოგვხსენებთ, რომ ამ განძის დაბრუნება სტალინისა და დეგოლის შეთანხმების საფუძველზე მოხდა. ეს ამბავი სწორედ პეტრე შარიასთან საუბრის დროს შევიტყვე.

ჭირს დღეს იმის გამო, რომ დაირღვა მეგობრული ურთიერთობა საქართველოსა და რუსეთს შორის, რამაც კიდევ უფრო დაგვაშორა მშობლიურ ადგილებს.

სომ არ დადგა დრო, ამ და გვირი სხვა პრობლემის გადასაჭრელად, ქართველი ხალხის შესაფიქროებლად ჩამოყალიბდეს ერთიანი ცენტრი სრულიად საქართველოს სახალხო კომბრანის სახით?

ბატონმა პეტრემ, როცა შეიტყო, რომ ლონდონში ვაპირებდი გამგზავრებას, წერილი გამატანა ყოფილ ქართველ დიპლომატთან, რომელიც ინგლისში ცხოვრობდა, ინახავდა ბევრ ქართულ ისტორიულ ფასეულობას და აპირებდა მათ გამოფენას ბრიტანეთის მუზეუმში, მაგრამ ხელი შეუშალა მეორე მსოფლიო ომმა.

სომ არ ითავებდით ამ საქმისთვის თავის დადგმის მიზნით მოსამზადებელი კომიტეტის შექმნას? ამ კომიტეტში შევიდოდნენ მთელი ქართველი ხალხისთვის პატივსაცემი აღამიანები, ვის სიტყვასაც ანგარიშს უნებავს საზოგადოებრივი მოძრაობებისა და პარტიების ხელმძღვანელები.

ლონდონში ჩასულმა მოგვანახ ეს დიპლომატი. მან გადმოცა ეს ფასეულობა, რომელიც თავისი აღწერილობით ჩავაბარე ჩვენს საელჩოს ლონდონში, იქიდან კი სათანაოდ შეფუთული და დაცული პარიზში ჩამოვტყუანე პეტრე შარიას.

იმედი მაქვს, რომ კონგრესი ძალას არ დაიშურებს იმისთვის, საქართველომ ღირსეული ადგილი რომ დაიმკვიდროს ხალხთა მსოფლიო თანამეგობრობაში.

როგორც ვიცი, ეს ისტორიული მასალები ამჟამად საქართველოს დედაქალაქ თბილისის მუზეუმებშია დაცული.

ისიც უნდა ვთქვა, რომ კონგრესი არ ჩანაცვლება ხელი-სუფლებას, არამედ მიახლოებას ხალხის აზრს და ნაფიქრალს, ხალხის მიერ გამოთქმულ შენიშვნებსა და წინადადებებს ეკონომიკის სფეროში, სოციალურ საკითხებში, განსაკუთრებით, დემოგრაფიული პრობლემების გადაჭრის თვალსაზრისით. იგივე შეიძლება ითქვას მეცნიერებასა და კულტურაზე. ყველაფერთან ერთად კონგრესმა სახალხო დიპლომატიის აქტიური ამოქმედებით ხელი უნდა შეუწყოს ჩვენი სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას.

ეს ყველაფერი იმიტომ გავიხსენა, რომ ბატონ პატრისთან საუბრის დროს მან მითხრა, დღეს ის არ გავა, პარიზში დაბრუნებული ათოჯინი ქართველი ახალგაზრდარ მომლოცვენი, საქართველოს საზღვარგარეთ არ მამკვიდრებენ და საბჭოთა კომუნისტური რეჟიმის დაბრუნებაზე არ მოცდებიან.

ასეთი სიყვარული ჰქონდათ მათ სამშობლოს მიმართ, რომელიც თვალთაც არ ენახათ. წარმოიდგინეთ, ჩვენ, ვინც საქართველოში ავიდვით ფეხი, ვინც რუსეთში ვცხოვრობთ, როგორ გვი-

ნიკოლოზ თოლორაია, მოსკოვი, იუჟნო ბუტოვო, 2012 წლის 12 იანვარი



ისრაელმა დაზარალებული სექტორი კვლავ დაბრუნდა

ისრაელის სამხედრო საჰაერო ძალებმა დაზარალებული სექტორის სამხრეთ ნაწილში დაზარალებულ ბოვიკების საცეცხლე ნერტილებზე იერიში მიიტანეს. ინფორმაციას ამის შესახებ ისრაელის თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახური ავრცელებს. დარტყმა იყო პასუხი დაზარალებულ ტერიტორიულ-დაზარალებულ ტერიტორიის დაბრუნებაზე. პალესტინის რადიოსადგური კი იუწყება, რომ ავიადარტყმის შედეგად არაერთი დაზარალებულია.



ნაზარბაევმა საერთაშორისო დამკვირვებლებს გაუხარა

ნაზარბაევმა საერთაშორისო დამკვირვებლებს ქვეყნიდან გააძევა. უცხოური მედიის ცნობით, ამის მიზეზად ის დასახელდა, რომ დამკვირვებლებმა ქვეყანაში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები უსამართლოდ შეაფასეს. ნაზარბაევი მათ დაჰპირდა, რომ მონიტორინგისთვის დამკვირვებლებს სხვა არჩევნებზე აღარ მიიწვევს.

შეგახსენებთ, რომ ნაზარბაევმა საპარლამენტო არჩევნები 15 იანვარს გაიმართა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის საბოლოო შედეგებით, ხმათა ყველაზე დიდი რაოდენობა — 80,99 პროცენტი მმართველმა პარტია „ნურ ოღანმა“ მიიღო.



ქართული ფოლკლორის ხანის სახელმწიფო და კანონიერი სამართლის სივრცის სწავლის დასაწყისი დასაბუთების აქტის რეკონსტრუქციის საფუძველი. მასში მრავალი საერთო ქართული კანონმდებლობის მემკვიდრე აქვეყნებული მენატალური ნიშანია შემონახული

ტრადიციული ქართული მენატალობა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველო

დამკვირვებელთა მხრიდან გამოვლენილ სოციალურ-რელიგიურ ნიშნებს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მკვიდრმა ქართველებმა არანაკლებ ძლიერი, თვითგადარჩენისა და ქართველობის შენარჩუნებისაკენ მიმართული ე. წ. მენატალური კედელი დაახვედრეს, რომლის სიმყარე და სიმკვრივე სამასწლოვანმა ოსმალურმა რეჟიმმაც კი ვერ გაარღვია. სამხრეთ-დასავლეთ საქართველო შორის ტრადიციული ქართული მენატალობის მასალა, ძირითადად, XIX საუკუნის ამსახველია.



რელიგია ეხმარებოდა მუდმივად საომარ მდგომარეობაში მყოფ ქართველებს ეროვნული იერსახის შენარჩუნებაში, რისი ერთ-ერთი მაგალითი იმ 130 ხიხაძირელი მონაწილის ცხოვრებაცაა, რომელთაც გამუსლიმებას სიკვდილი არჩია, მათ, გადმოცემით, ერთ დღეს მოჰკვეთეს თავი. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ სამხრეთ-დასავლეთ ქართველთა ყოფამ წარმოაჩინა სხვა საგულსხმო მომენტები: საქართველო და ქართველობა უმთავრეს ფასეულობას წარმოადგენდა იძულებითი გამუსლიმებულ ქართველთა შთამომავლებისთვის; ქართველობისთვის თავგანწირვის საოცარი მაგალითია, თუნდაც ეროვნული გმირის, სარწმუნოებით მუსლიმის, სელიმ ხიმშიაშვილის ქმედება, რომელიც დაუპირისპირდა უძლიერეს ოსმალურ იმპერიას და შეენირა თურქეთისაგან საქართველოს ერთი ნაწილის — ე. წ. ახალციხის საფაშოს მენატალური მახასიათებლების გამოვლენის თვალსაზრისით, საგულსხმო იძულებითი გამაჰმადიანებულ ქართველთა ყოფაში შემონახული ქრისტიანული კულტურის სხვადასხვა ელემენტი (ცნობილია, აჭარადან განათლდა დანარჩენი საქართველო): ტომობრივი, ფოლკლორი, საოჯახო ყოფის ქართული ხასიათი, ისლამური კულტურისათვის დამახასიათებელი მრავალცოლიანობა მხოლოდ დიდგვაროვან ან ოსმალეთის სამოხელეო აპარატში დანინაურებულ მოხელეთათვის იყო დამახასიათებელი; ძველი ქართული გვარების ხსოვნა; სტუმართმოყვარეობა („სტუმარი ღვთისაა“); ქართული ტანსაცმელი; ქრისტიანული

სიმბოლიკის გამოხატვა საცხოვრებლად და სამეურნეო ნაგებობებზე, ავეჯზე და თვით არაქრისტიანულ საკულტო ნაგებობათა ინტერიერზე; ზოგიერთი ქრისტიანული დღეობისა და წეს-ჩვეულებების არსებობა (აღდგომა, ბზობა, ლაზარობა, ფერიცვალება); ხალხურ მედიცინაში შემონახული გადმოცემა — სამკურნალო მცენარეულობის ბაღის სახელი — „მარია-მის ბაღი“; ურთიერთდახმარების ძველი ქართული ფორმები (ნადი); ქალის მაღალი უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობა და სხვ. ალბათ, ამიტომაც ფიქსირდებოდა ეთნოგრაფიული ფაქტები, როდესაც უკვე გამუსლიმანებული ქართველი ქალები მამაკაცების მალულად ჯვარს ატარებდნენ, კეცებზე ჯვრებს ამოღარავდნენ და სააღდგომოდ ნითელი კვერცხებით გადიოდნენ სასაფლაოებზე. მსგავსი მენატალური მომენტები უფრო სიღრმისეულ კვლევას საჭიროებს. ერთი რამ კი ცხადია, ქართული კულტურის ცხოველყოფილობა თვალსაზრისით წარმოდგენილი ზოგადად, მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შორის, განსაკუთრებით კი აჭარის ქართველთა მენატალურ კულტურაში, აგრეთვე, სხვა ყოფით პასაჟებში თავიჩვენებს ფსიქოლოგიური და ესთეტიკური მოტივები გარკვეული მენატალური მახასიათებლის — ძველი ქართული ქრისტიანული სარწმუნოებისადმი პატივისცემის გამოხატვითა და იგი ამ მასალის ფიქსირების დროისათვის (XIX-XX საუკუნეთა მიჯნა) უკვე მიმქრალი რელიგიური შეხედულებების ერთგვარი რეკონსტრუქციის შესაძლებლობასაც იძლევა.

ღვთისგან ნაკურთხია, შესაბამისად, კი დიდი ზებუნებრივი ძალის მქონეა და, რაც მთავარია, მეფე ერისთვის, ქვეყნისთვის თავდადებულია. ეს ელემენტები ოდინდელია, ისინი უფროდ ბიბლიიდან მომდინარე და საისტორიო ტრადიციით განმტკიცებულია. ხოლო თამარ მეფესთან დაკავშირებული მასალა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ფოლკლორის უდიდეს ნაწილს შეადგენს. დიდი, ნიმიდა მეფის თამარის შესახებ არსებული გადმოცემები კოლექტიური ხსოვნის გასოცარი ხანდაზმულობისა და დროში გამძლეობის იშვიათი ნიმუშებია. ეთნოგრაფიული მასალით, თამარის აგებულად ითვლება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ქრისტიანულ სინამდვილეს, ციხისმამრეთა და ხიდათა უდიდესი ნაწილი: სხალისის ეკლესია, ეფრატის ეკლესია, ხერთვისის ეკლესია, ხიხანის ციხე, ვარციხე, გონიოს ციხე, გვარას ციხე, ეკლესიათა და ციხე-სიმახეების მსგავსი; გოგნარის ციხე მურღულში, დიობნის ციხე იმერხეში და სხვა. როგორც თეოდოსიოპოლი აღნიშნავს, მშენებლობებთან დაკავშირებული სიუჟეტები თითქმის ერთგვაროვანია, მსგავსია, მაგალითად, ხიხანის ციხის აგების ლეგენდისა: ხიხანის ციხის მშენებლობისა და პარხალი მცხოვრების ამ ეკლესიების აშენებას თამარ მეფეს მიანერდნენ, გადმოცემით, „თამარს ჰყავდა თეთრი რამი ისეთი, რომ ერთ დღეს შეეძლო მოეგლო ოშკი, იშხანი, ოთხთა ეკლესია და პარხალი. კობაკის მახლობლად უჩვენებენ კლდეს ხელისგულის გამოზახულებით და ამბობენ, ეს თამარ მეფის ხელის ნაშთია,“ —

წერს ე. თაყაიშვილი. ეკლესიების, ციხეებისა და ხიდების გვერდით, ცნობილია თამარ მეფისეული სარწყავი არხები, წყაროები და მინერალური სამკურნალო წყლები. ცალკე აღნიშვნის ღირსია შემდეგი მენატალური მომენტები: სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ფიზიკურ სიღარიბე და სათუთად შემონახული ქართული ენის სინამდვილე: „აჭარლებს რომ აკვირდებოდა უნებლიეთ გაოცებთ მათი წმინდა ქართული ტიპი“ (დ. ბაქრაძე), მიზეზი კი, ცხადია, იმ ობიექტურ გარემოებაშია საძიებელი, რომ არ ყოფილა ქობულეთი-აჭარას სხვა ტომის ქალი ცოლად შეერთო და ამის მეორეხეობაც ხალხიც არ გადაგვარებულა. ქობულეთი-აჭარლები ნამდვილი ტიპია ქართველი ხალხისა“ („სახალხო გაზეთი“, 1914). „ქართული დაცულია მათ შორის და უფრო უკეთესად ვიდრე საქართველოს სხვა კუთხეში,“ — წერდა თ. სახოკია. ხოლო ის, თუ როგორ უფროდ და პატრონობდნენ აჭარლები ქართულ ენას, თვალსაჩინოადაა ასახული ერთი რიგითი აჭარლის (XIX ს.) ბრაზიან გამოხატვაში: „ქართული ლაპარაკის დაკარგვა ჩემმა მტერმა თქვა... მას, თუ საჭირო გახდება, ფიშკოთი და მატყლითაც დავიცავი, მას ცოცხალი თავით არავის დაეჩაგრინებთ და დავანებებთ“. ამ მხრივაც აღსანიშნავია სამხრეთ-დასავლეთი ქართველი ქალის დიდი ღვაწლი. „ოჯახში ყველა ქართულად ლაპარაკობს. მეტადრე ქალები არიან წმინდადამცველი ჩვენი ენისა“ (თ. სახოკია). ბუნებრივია, მაღალ ქართულ ფეოდალურ კულტურას, თუნდაც „ვეფხისტყაოსნის“ იდეალებს, ნაზიარები ქართველი ქალი ადვილად ვერ შეეღებოდა ტრადიციული, მშობლიური ყოფისაგან მოწყვეტას და იგი თაობიდან თაობას გადასცემდა ქართულ ენას და ადამ-ნებს.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველებმა შემონახეს ქართული მენატალობის კიდევ ერთი მახასიათებელი — სტუმართმოყვარეობა. თ. სახოკია ხაზგასმით აღნიშნავდა: „ყოველივე უსასყიდლოდ შემომთავაზებს. საქმლისა და სტუმრის პატივისცემისათვის სასყიდლის შეძლებით აჭარებს საშინელ შურაცხყოფას მიყენებ“. აჭარის ყოფამ შემოგვინახა ტრადიციული ქართული კულტურის სხვა ნიშანიც — ე. წ. სასტუმრო სახლები და ოთახები, სადაც ყოველ მოგზაურს გულუხვი მასპინძლობა ელოდა. ისევე თეოდოსიოპოლის დავითმეხთ: „აჭარებს თუკი რამ აბადიდა, სტუმრის პატივისცემა დიდ ნეტარებად მიანია. სტუმარს ღვთის კაცად სთვლის“. დღესაც, აჭარისა და ისტორიული საქართველოს ამა თუ იმ სოფლის ყოველი სტუმარი ასეთივე სტუმართმოყვარეობის მხილველი ხდება. ქართული ქრისტიანული კულტურის გამოძახილია თედოსიოპოლის მიერ აჭარაში შეწმინდილი ჩვეულება: „უყვართ გაჭირვებული მეზობლის გაკითხვა. რაც არ უნდა უჭირდეს აჭარლებს ქართულ ენას, თვალსაჩინოადაა ასახული ერთი რიგითი აჭარლის (XIX ს.) ბრაზიან გამოხატვაში: „ქართული ლაპარაკის დაკარგვა ჩემმა მტერმა თქვა... მას, თუ საჭირო გახდება, ფიშკოთი და მატყლითაც დავიცავი, მას ცოცხალი თავით არავის დაეჩაგრინებთ და დავანებებთ“. ამ მხრივაც აღსანიშნავია სამხრეთ-დასავლეთი ქართველი ქალის დიდი ღვაწლი. „ოჯახში ყველა ქართულად ლაპარაკობს. მეტადრე ქალები არიან წმინდადამცველი ჩვენი ენისა“ (თ. სახოკია). ბუნებრივია, მაღალ ქართულ ფეოდალურ კულტურას, თუნდაც „ვეფხისტყაოსნის“ იდეალებს, ნაზიარები ქართველი ქალი ადვილად ვერ შეეღებოდა ტრადიციული, მშობლიური ყოფისაგან მოწყვეტას და იგი თაობიდან თაობას გადასცემდა ქართულ ენას და ადამ-ნებს.

ათმა თითქმის ვერ შეაღწია აჭარელთა სამხრეთ ყოფაში და ოჯახის წევრთა ურთიერთდამოკიდებულება, ძირითადად, ქართულ საოჯახო ტრადიციებს ეფუძნებოდა ოსმალური მმართველობის პერიოდშიც. ისევე თ. სახოკიას მოვლემებით: „უნდა ახლო გაიცნო კაცმა აჭარელი, რომ... დაფასოს მისი რაინდული ხასიათი. თუ კარგი გული უჩვენებ, თქვენთვის თავის დადებას ნეტარებად ჩასთვლის ეს მთის შვილი. მაგრამ თუ, ერთი ბენოც არის, მუხანათობა შეგატყუო, დაუნდობელია. შურაცხყოფა, მისი აზრით, მარტო სისხლით მოიბანება“. ზემო აჭარაში ერთ ასეთ ისტორიას ყვებიან: ცნობილია, სისხლის აღების წესი ქართველ მთიელებში გვიანობამდე არსებობდა. შურისძიება აჭარაშიც ღირსების საქმედ ითვლებოდა და „სისხლის შექცა“ — აუღლებლობა სირცხვილად მიჩნეოდა. ერთი აჭარელი ჩასაფრებია მოსისხლეს სახლთან, ფანჯარასთან და ყური მოუკრავს საუბრისათვის. ცოლის შეკითხვაზე, — არ გეშინია შინ მოსვლის, მტერი მოგკლავსო, — ქმარი უპასუხია, — მე ისეთი ვაჟაკი მტერი მყავს, ცოლის თვალწინ არ მესვრისო. ფანჯარასთან დადარაჯებულ მოსისხლეს ორი ტყვია რაფაზე დაუტოვებია იქ ყოფნის ნიშნად, თვითონ კი ქაშურობას გარიდებია და სისხლის აღებაზეც ხელი აუღია. ამ ყოფით ისტორიამ წარმოიქმნა ტრადიციული ქართული მენატალური მასალა ადასტურებს ტრადიციული ქართული ღირებულებების სიციცხლისუნარიანობას ამ მხარეში. ეს ძირძველი ქართული ტერიტორიულ-ეთნოგრაფიული თემები თუ ჯგუფები დღემდე ინახავენ ტრადიციული ქართული ყოფის ისეთ ნიუანსებს, ისეთ წმინდა ქართულ მენატალურ პასაჟებს, თვითყოფადი ქართული კულტურის გასაოცარი მოპილობისა და სიციცხლისუნარიანობის კიდევ ერთ დასტურად რომ გვევლინება. მოამზადდა დარეჯან ანდრიაშვილი ქურნალი „ისტორიული მეკვიდრობა“

სარკოზის ავანტიის საკითხით უპირისპირდებიან
საპრეზიდენტო არჩევნებში ნიკოლა სარკოზის მთავარმა კონკურენტმა ფრანსუა ოლანდმა საარჩევნო კამპანია დაიწყო და საკუთარი პოლიტიკური პროგრამის პრეზენტაცია პარიზის გარეუბან ლე ბურჟეში გამართა. მთავარი, რაც სარკოზის კონკურენტის პრეზენტაციაში ყურადღებას იწვევს, ისაა, რომ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში ოლანდი 2013 წლამდე ავანტიიდან ჯარების გაყვანას და ბენზინის ფასის „გაყინვას“ გეგმავს. აღნიშნულის მიუხედავად, როგორც უცხოური მედია წერს, საფრანგეთის მოსახლეობის ორ მესამედს სარკოზის კონკურენტის არ სჯერა და მიიჩნევს, რომ გამარჯვების შემთხვევაში ის დაწაპირებს არ შეასრულებს. საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტური აპრილის ბოლოს გაიმართება.

აშშ ირანთან ბირთვულ პროგრამაზე მოლაპარაკებების გასამართად მზად არის. თეთრი სახლის წარმომადგენელ ჯეი კარნის განცხადებით, ირანს ყველა საშუალება აქვს, საკუთარ ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით კონფრონტაცია აშშ-სა და მის მოკავშირეებთან შეწყვიტოს. კარნიმ არ დადასტურა თეირანის მიერ გავრცელებული ინფორმაცია იმაზე, რომ აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ირანის ხელმძღვანელობას გაუგზავნა წერილი, სადაც ის მოლაპარაკებების დაწყების მზაობას გამოხატავს. ამასთან, მან არ გამოიხატა, რომ ასეთი წერილი გამინეტოში მომზადდა.



აგრევიანი



ელიტ ელექტრონიკსი
ELIT ELECTRONICS

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



როგორ შევარჩიოთ ჩვენთვის სასურველი მასხივპარკი (ჩვენები ელიტ ელექტრონიკსისგან)

1. მაცივრის მოცულობა და ბაზარიტობა:

მაცივრის არჩევას დაფიქრდით მის განლაგებაზე, თუ როგორ კომფორტულად მიუღდეთ მას. მეორე მნიშვნელოვანი საკითხია მაცივრის ტიპადობა. ერთი ადამიანისთვის ან წყვილისთვის შეიძლება საკმარისი იყოს ერთკამერიანი კომპაქტური მოდელი. მრავალსადიანი ოჯახისთვის ოპტიმალური არჩევანია ორკამერიანი მაცივარი. დიდი სამზარეულოს მფლობელებისთვის კი მიზანშეწონილია „Side-by-Side“ მოდელი, დახვეწილი დიზაინით, გვერდით განთავსებული საყინულე კამერით.

პატარა ერთკამერიანი მაცივრის სიმაღლე მერყეობს 50-დან 160 სანტიმეტრამდე, იმის მიხედვით, აქვს თუ არა საყინულე კამერა. რაც შეეხება სიგანესა და სიღრმეს, იგი დაახლოებით 60 სანტიმეტრია. საშუალო ზომის სამზარეულოში ხშირად გვხვდება საშუალო ორკამერიანი „ვეროპუ-ლი“ ტიპის მაცივრები 60 სმ სტანდარტული სიგანით. ისინი სიმაღლეში 1,7-2 მეტრია, ზოგჯერ მეტიც. მათი კომპაქტურობის მიუხედავად, ისინი სთავაზობენ მოცულობას 300-350 ლიტრამდე. თუ სამზარეულოს ფართი იძლევა საშუალებას, შეიძლება დაიდგას „აზიური“ მოდელი: სიგანე — 90 სმ-მდე, სიმაღლე — 180 სმ (ხშირ შემთხვევაში — ზედა საყინულით). მსგავსი მოცულობის მაცივრებში ზედა თაროებიდან პროდუქტის ჩამოღება ბევრად ადვილია. მოდელი „Side-by-Side“ ნარმოგიდგენთ მაცივარს დიდი მოცულობით 500-800 ლიტრამდე. მათი ზომა შთაბეჭდავი, სიგანე დაახლოებით 90-100 სანტიმეტრია, სიღრმე — 85 სმ. სიმაღლე — 1,8-1,9 მ. ასეთ მოდელს, გარდა იმისა, რომ დიდი ოდენობით პროდუქტს იტევს, ასევე აქვს დამატებითი ფუნქციები. გაიანგარიშეთ მარშრუტი, რომლითაც უნდა გადაადგილდეს მაცივარი, მისი გაბარიტები ოთახის შესასვლელზე შედარებით პატარა უნდა იყოს.

2. მაცივრის კამერების რაოდენობა:

ერთკამერიანი მაცივარი, ერთი კარითა და პატარა საყინულით შედარებით იაფია, მაგრამ დროდადრო ყინულს ესაჭიროება გაღობა. ორკამერიანი მოდელი ორი კამერით

რით საშუალებას გაძლევთ აირჩიოთ ნებისმიერი მოცულობის მაცივრისა და საყინულის განყოფილება, ოჯახის მოთხოვნიდან გამომდინარე. არის, აგრეთვე, 3-კამერიანი მაცივრები. „Side-by-Side“ ტიპის მაცივრებში გვხვდება 4 და 5-კამერიანი მაცივრები. ერთკამერიანი მაცივრები გათვლილია როგორც ბინებისათვის, ასევე აგარაკებისთვის. ასეთი მოდელი შედარებით იაფია. ერთკამერიანი ჩასაყინებელი მაცივარი თავისუფლად შეიძლება გამოიყენოთ როგორც მინი ბარი.

ორკამერიანი მაცივარში, ორი კარით, უფრო ადვილია ოპტიმალური ტემპერატურის შენარჩუნება: ერთი კარის გაღების შემთხვევაში მეორე კარის ატმოსფერო არ თბება. ორკამერიანი მაცივრის არჩევას ყურადღება მიაქციეთ განყოფილებების განლაგებას. მაცივრები ზედა საყინულე კამერით პოტენციურად უფრო ეკონომიურია. ქვედა საყინულის შემთხვევაში უფრო ნაკლებად გვიხდება დახრა, რადგან უფრო იშვიათად საყინულე კამერით ვსარგებლობთ.

ახლახან ბაზარზე შემოვიდა სამკამერიანი მაცივრები. მათი მთავარი უპირატესობაა დამატებითი ტემპერატურის ზონა, რაც გვაძლევს საშუალებას ავირჩიოთ ოპტიმალური ტემპერატურული ზონა პროდუქტის სახეობის მიხედვით. ამ კლასის მოდელების ორი სახეობაა ნარმოდგენილი: ერთ შემთხვევაში მესამე კამერა განკუთვნილია ღრმა გაყინვისთვის როგორც მოთავსებული საყინულე განყოფილებაში. მეორე შემთხვევაში ის ასრულებს „ნულოვანი კამერის“ როლს, ავსებს მაცივარ კამერას, გამოიყენება მალეფუჭებადი პროდუქტების შესანახად.

4-5-კამერიანი მოდელი „Side-by-Side“ შეიძლება მოიცავდეს ინტეგრირებულ ბარს, სველ და მშრალ ზონებს: პირველი — ბოსტნეულს, ხილსა და მწვანილისთვის, მეორე — ხორციეულისა და თევზეულისთვის. ასეთ მაცივრებში ყველა სახის პროდუქციისთვის ოპტიმალური შენახვის პირობებია. უნდა გა-

ვითვალისწინოთ ისიც, რომ ეს ყოველივე აისახება ფასზე.

3. კომპრესორი და „ზელონი“

ძირითადად ერთ და ორ კამერიანი მოდელები აღჭურვილია ერთი კომპრესორით, რომლის ხარისხზეც დამოკიდებულია მაცივრის ხმაურის დონე, ეკონომიურობა. გარდა ამისა, მაცივრის არჩევას ყურადღება უნდა მიაქციოთ მის გასაცხველ სისტემას, ამ შემთხვევაში ყველაზე სასურველი არჩევანია ფრეონი R134a და R600a.

კომპრესორის ხარისხი უშუალოდ მოქმედებს არამარტო მაცივრის გამძლეობაზე, არამედ მუშაობის დროს

ხმაურის დონეზეც. მაგ: BOSCH, SIEMENS, GORENJE, HAIER ბრენდების მაცივრებში ხმაურის დონე მერყეობს 36-დან 43 დეციბელამდე, ფაქტობრივად, მაცივარი უხმაუროდ მუშაობს. ასევე არის ორკომპრესორიანი მოდელები (მაგ: GORENJE): ერთი კომპრესორი განკუთვნილია ერთი კონკრეტული კამერისთვის. ეს მოსახერხებელია, რადგან შესაძლებელია სურვილის მიხედვით გამოირთოს ერთ-ერთი განყოფილება, მაგალითად: დასუფთავებისას ან დიდი ხნით სადმე გამგზავრებისას.

თანამედროვე მოდელებში იყენებენ ძირითადად ორი ტიპის „ფრეონს“: R134a და R600a, არც ერთი არ აზიანებს

ოზონის შრეს. R600a ითვლება უფრო ეკონომიურად ელენერჯის მოხმარების მხრივ; უფრო მეტიც, გარემოში მოხვედრისას ის მყისიერად ქრება, ზიანის მიყენების გარეშე. ასეთ ფრეონს ძირითადად ისეთი ბრენდები იყენებენ, როგორცაა BOSCH, SIEMENS, GORENJE, HAIER.

4. მაცივარ-კამერა

მაცივრის ძირითადი მოცულობა, როგორც წესი, მოდის მაცივარ კამერაზე თავისი თანხადასხვა პროდუქტისთვის. დიდი რაოდენობით პროდუქტის შენახვისას გასათვალისწინებელია, რომ პროდუქტი უნდა იყოს განთავსებული თავისუფლად ჰაერის ცირკულაციისა და თანაბრად გავრელების უზრუნველყოფისთვის. მაცივარ-კამერაში შეიძლება იყოს სხვადასხვა ტემპერატურული ზონები და სათავსოები, მაგ: „ნულოვანი ზონა“, სადაც ტემპერატურა ყოველთვის ახლოსაა 0°C-თან. აქ შენახული ახალი პროდუქტი (ხორცი, თევზი, ბოსტნეული და სხვ.) ინარჩუნებს თავის ბუნებრივ არომატსა და ვიტამინებს.

მნიშვნელოვანია თაროების სამაგრების რაოდენობა, რაც საშუალებას გვაძლევს, დავალაგოთ თაროები სხვადასხვა სიმაღლეზე, პროდუქტის ზომის მიხედვით. მაცივრის თაროები მზადდება პლასტიკის, მინის ან მეტალისგან. პლასტიკური თაროები მსუბუქია, ისინი ადვილად ინარჩუნებს სისუფთავეს, მაგრამ არ გამოირჩევა სიმყარით. უფრო პოპულარულია ნაწრთობი მინის თაროები, ისინი ადვილად ინარჩუნებენ, გაცილებით მდგრადია სიმძიმის მიმართ, მაგრამ ფრთხილად მოსაველია. მეტალის პლასტიკით დაფარული თაროები (თარო გისოსი) ხელს არ უშლის ჰაერის ცირკულაციას მაცივარში. ისინი გვხვდება შედარებით დაბალ ფასიან მოდელებში.

პოპულარული და მოთხოვნადია ისეთი მაცივრები, რომელთაც გააჩნიათ ე.წ. ნულოვანი კამერა (სხვადასხვა ბრენდში გვხვდება სხვადასხვა სა-

ხელნოდებით: „coolbox“, „chillerSafe“), სადაც ტემპერატურა მერყეობს -2°C-დან +3°C-მდე, მაცივარ კამერაში მითითებული ტემპერატურის მიხედვით და „ნულოვანი ზონა“, სადაც ტემპერატურა ყოველთვის ახლოსაა 0°C-თან, მითითებული ტემპერატურის მიუხედავად. ასეთ ზონებში პროდუქტი ინახება სამჯერ უფრო დიდი ხნით და ინარჩუნებს თავის ბუნებრივ არომატსა და ვიტამინებს.

თანამედროვე მოდელებს აქვს დამატებითი ფუნქცია „სწრაფი (სუპერ) გაგრილება“. მაცივარ-კამერაში ტემპერატურა ეცემა 20°C-მდე. ეს კარგად მოხერხებულია, რომ პროდუქტი უნდა იყოს განთავსებული თავისუფლად ჰაერის ცირკულაციისა და თანაბრად გავრელების უზრუნველყოფისთვის. მაცივარ-კამერაში შეიძლება იყოს სხვადასხვა ტემპერატურული ზონები და სათავსოები, მაგ: „ნულოვანი ზონა“, სადაც ტემპერატურა ყოველთვის ახლოსაა 0°C-თან. აქ შენახული ახალი პროდუქტი (ხორცი, თევზი, ბოსტნეული და სხვ.) ინარჩუნებს თავის ბუნებრივ არომატსა და ვიტამინებს.

5. საყინულე განყოფილება

საყინულის ორი ძირითადი კრიტერიუმი არის მოცულობა და მინიმალური ტემპერატურა. პროდუქტების შენახვის ხანგრძლივობა დამოკიდებულია საყინულე კამერის მინიმალურ ტემპერატურაზე, რაც განისაზღვრება ვარსკვლავების რაოდენობით (ერთიდან ოთხამდე). ერთი ვარსკვლავი (*) უდრის -6°C-ს). ძირითადად, თანამედროვე მაცივრები ოთხ (***) ვარსკვლავიანია (გამონაკლისს ნარმოდგენს, უმთავრესად, ერთკამერიანი მაცივრები), ანუ მინიმალური ტემპერატურაა -24°C (სწრაფი გაყინვისას შეიძლება ტემპერატურა იყოს -32°C). ასეთ საყინულე კამერაში პროდუქტი ინახება 3-დან 12 თვემდე, პროდუქტის სახეობის მიხედვით.

მაცივრის არჩევას, არ დაგავინწყდეთ, რომ,





რაც უფრო დიდი საყინულე, მით უფრო პატარაა მაცივარ-გაყინვითა, გააჩნია, რომელიც კამერის სიდიდით უფრო პრიორიტეტული ჩვენთვის.

ბევრ თანამედროვე მაცივარს გააჩნია რეჟიმი „სწრაფი (სუპერ) გაყინვა“. რაც უფრო სწრაფად იყინება ახალი პროდუქტი, მით უფრო დიდი ხნით ინახება და ინარჩუნებს ბუნებრივ არომატს. ამ რეჟიმში კომპრესორი მუშაობს მაღალი დატვირთვით, ამიტომ დიდი ხნით მაცივრის „სუპერ გაყინვის“ რეჟიმზე დატოვება არ არის რეკომენდებული. უმეტესწილად „სუპერ გაყინვის“ ფუნქციის გამორთვა ავტომატურად ხდება განსაზღვრული დროის შემდეგ, ხოლო ზოგჯერ ხელთ უნდა მოხდეს მისი გამორთვა.

მინიმალური ტემპერატურის გარდა, მწარმოებელი უთითებს გაყინვის მასას — პროდუქტის იმ რაოდენობას, რომელსაც გაყინავს 24 საათის განმავლობაში.

საყინულის შიდა მოწყობილობა დამოკიდებულია მის ადგილმდებარეობაზე. ძირითადად, ზედა საყინულეში მოთავსებულია 1-3 თარო, ხოლო ქვედაში — მოძრავი უჯრები.

6. გალღობის სისტემა და მართვა

გალღობის სისტემა დამოკიდებულია მაცივრის ტიპზე: მშრალი გაყინვით-No Frost და ნახევრადმშრალი (არის ასევე ძველი ტიპის სტატიკური მაცივრები, ძირითადად, ერთკარიანი). უმეტესობა მოდელზე მაცივარ-კამერა ღვავს ავტომატურ რეჟიმში (ზოგიერთი მოდელის გარდა). იგი კონდენსირებულ ტენს აცლის ავტოლობის ორი მეთოდით-წვეთვანი (მტირალა კედელი) ან No Frost სისტემით. საყინულის კამერისათვის, ამ ორი მეთოდის გარდა, ფართოდ გამოიყენება ხელთ გალღობა.

მართვა შეიძლება იყოს მექანიკური, ელექტრომექანიკური ან ელექტრონული. მაცივრებს ელექტრონული მართვით შესაძლოა გააჩნდეს ციფრული, თხევადკრისტალური დისპლეი (ზოგჯერ სენსორული).

ღვავის წვეთვანი სისტემის დროს (ნახევრადმშრალი მაცივრებში) მაცივრის უკანა კედელზე წარმოიქმნება წყლის წვეთები (კომპრესორის გაჩერების დროს), რომლებიც იყინება, შემდეგ ისევ ღვავება და სადინარებით ჩაედინება სპეციალურ სათავსოში, საიდანაც ხდება მისი აორთქლება. ნახევრადმშრალი მაცივრების საყინულე კამერა იკეთებს ყინულს, როცა ყინულის საფარი მიაღწევს 0,5-1 სმ-ს, უნდა გამოვრთოთ და გავალოთ (რეკომენდებულია საშუალოდ

3-4 თვეში ერთხელ). ასეთი მაცივრები შედარებით იაფი ღირს ვიდრე No Frost სისტემის მაცივრები. თეორიულად No Frost სისტემის მაცივრები გალღობას არ საჭიროებენ, მაგრამ პროფილაქტიკისათვის რეკომენდებულია მათი გამორთვა წელიწადში ერთხელ მაინც. ნამის კონდენსირება მათში ხდება სპეციალურ ამორთქლებელზე, რომელიც დროდადრო ღვავება გასაფრთხილებლის მეშვეობით. წყალი ჩაედინება სათავსოში, სადაც ხდება მისი შემდგომი აორთქლება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ No Frost სისტემა ამცირებს კამერის სასარგებლო მოცულობას.

7. ელენარბიის მონემარება და კლიმატური სარტყელი

მაცივრის არჩევას არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი — მისი ენერგომომარების კლასი. რაც უფრო მაღალია კლასი, მით უფრო ნაკლებ ელენერგიას მოიხმარს. A, B და C კლასები ითვლება ეკონომიურად. არის გაუმჯობესებული ვარიანტიც, „+“ და „++“ კლასის მაცივრები. გარდა ამისა, მწარმოებელი ყოველ მოდელზე მიუთითებს კლიმატურ კლასს, რომელიც აღწერს იმ პირობებსა და გარემოს, რომელშიც იმუშავებს მაცივარი შეფერხების გარეშე. თანამედროვე „+“ კლასის მაცივრები მოიხმარს 23%-ით უფრო ნაკლებ ელენერგიას, ხოლო „++“ კლასის 45%-ით ნაკლებს, ვიდრე „N“ კლასის.



კლიმატური კლასის მიხედვით მაცივრის შერჩევას უნდა გავითვალისწინოთ იმ გარემოს ტემპერატურა, სადაც უნდა დამონტაჟდეს მაცივარი, თუმცა საქართველოში გვხვდება ყველა კლიმატური კლასის მაცივარი. ზომიერი კლიმატისთვის ყველაზე აქტუალურია ნორმალური კლიმატური კლასი „N“, რომლის მუშაობა გათვალისწინებულია 16-დან 32 °C-მდე, სუბნორმალური კლიმატური კლასი „SN“ — 10-დან 32°C-მდე ჰაერის ტემპერატურაზე მუშაობისათვის, „ST“ სუბტროპიკი — 380C/18 °C; „T“ ტროპიკი — 43 0C/18 °C. გაყინვაში ბოლო დროს გამოვიდა „მულტიკლასის“ მოდელები N-ST ან SN-ST, გათვალისწინებულია უფრო ცხელი კლიმატისთვის (38 °C-მდე). მაცივრის არჩევას შეეცადეთ, ექსპლუატაციის პირობები შეესაბამებოდეს ზემოთ მოყვანილ პირობებს.

8. მაცივრების დამატებითი უპირატესობა

იმ მონაცემებს, რომლებიც პირდაპირ მოქმედებს მაცივრის ფასზე, მიეკუთვნება როგორც საერთო პარამეტრები (დიზაინი, ტევადობა, კომპლექტაცია), ასევე სპეციალური ფუნქციები, რეჟიმები და ტექნოლოგიები. მათ: ანტიბაქტერიული საფარი, დეოდორატორები, ეკონომიური რეჟიმი და სხვ.

მაცივრის არჩევას დროს უკვე შეგვიძლია არ შევიზღუდოთ კლასიკური თეთრი ფერით. არსებობს სხვადასხვა ფერის ფართო არჩევანი, მაცივრები ხისა და ლითონის იმიტაციით, დიდი პოპულარობით სარგებლობს მაცივრები უჟანგავი ფოლადის ფერით, რომლებიც, პრაქტიკულად, ნებისმიერი სახის ინტერიერს უხდება. უჟანგავი ფოლადის ზედაპირის ძირითად ნაკლს წარმოადგენს ის, რომ მასზე მუდმივად რჩება ლაქები, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ბო-

აკრეპანი



ლო დროს ბაზარზე გამოჩნდა მაცივარი ზედაპირის სპეციალური დამუშავებით, ლაქების სანინალმდეგო სისტემით.

კომპლექტაცია

მწარმოებელთან გამომდინარე, სხვადასხვა სახის კომპლექტაციაში შედის სხვადასხვა საგანი. ხშირად გვხვდება ტალღოვანი თაროები და ბოთლის სათავსო, ყინულის დასამზადებელი. იშვიათად კომპლექტაციაში შედის ყველისა და კარაქის კონტეინერები და ლანგარი გასაყინი პროდუქტებისთვის, ასევე ე.წ. სიცივის აკუმულატორები, რომლებშიც არის სპეციალური სითხე, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში არ ღვავს, გამოიყენება, ძირითადად, პიკნიკებისთვის, ასევე დიდი ხნით ინარჩუნებს საყინულეში ტემპერატურას ელ. ენერჯის გათიშვის შემთხვევაში.

ანტიბაქტერიული საფარი

სხვადასხვა მწარმოებელთან გვხვდება სხვადასხვა დასახელებით. საფარის შინაარსი მდგომარეობს შემდეგში: კედლების საფარი და კარის შიდა ნაწილი იფარება ვერცხლის იონებით, რომელიც ხელს უშლის ბაქტერიებისა და არასასიამოვნო სუნის გავრცელებას, რაც დადებითად მოქმედებს პროდუქტის შენახვის ვადის გახანგრძლივებაზე.

დისპენსერი

დისპენსერის საშუალებით ვიღებთ ცივ წყალს მაცივრის კარის გაღების გარეშე (რაც უფრო იშვიათად ვაღებთ მაცივრის კარს, მით უფრო ვზოგავთ ელ. ენერჯიას). ზოგიერთ მოდელში (ძირითადად, „Side-by-Side“) შეგვიძლია ავირჩიოთ როგორც წყლის, ასევე ყინულის მინოდება გრანულეში ან კუბიკებში. დისპენსერში უნდა ჩავასხათ მხოლოდ წყალი (ზოგიერთი მოდელი საჭიროებს წყლის ცენტრალურ სისტემასთან მიერთებას).

სიბნალა და ინდიკატორები

ძალიან სასარგებლო იქნება მაცივრის ღია კარის ფუნქციის გათვითცნობიერება. რამდენიმე წუთის შემდეგ მაცივარი გვაცნობებს ამის შესახებ ხმოვანი სიგნალის საშუალებით (ხანდახან სინათლის სიგნალის საშუალებით), ასევე შესაძლებელია სიგნალის მიწოდება მოხდეს ტემპერატურის ანვივისას ან ელექტრო ენერჯის შეწყვეტის შემთხვევაში.

ეკონომიური რეჟიმი

რეჟიმის გააქტიურებისას მაცივარში ავტომატურად მიეთითება ოპტიმალური ტემპერატურა (საშუალოდ +5 °C მაცივარ კამერაში და -18 °C საყინულეში). მწარმოებლებს მიხედვით, ეს ტემპერატურა შეიძლება ოდნავ განსხვავდებოდეს). ელექტროენერჯის ხარჯი მინიმუმამდე ეცემა. რეჟიმის გააქტიურება რეკომენდებულია, როცა არ ვამატებთ მაცივარში ახალ პროდუქტს.

ფეხაულები რეჟიმი

ზოგიერთ მოდელს შეიძლება გააჩნდეს ე. წ. შევსების რეჟიმი (holiday, Vacation სხვადასხვა დასახელებით მწარმოებლის მიხედვით), რომლის გააქტიურებისას ფაქტობრივად ითმება მაცივარ-კამერა და მუშაობს საყინულე. მაცივარ კამერაში შენარჩუნებულია ტემპერატურა 10 °C-დან 16 °C-მდე (მწარმოებლის მიხედვით). ეს ტემპერატურა საკმარისია, რომ არ წარმოიქმნას მაცივარში არასასიამოვნო სუნი. ამ რეჟიმის გააქტიურება მოსახერხებელია მაშინ, როცა დიდი ხნით გავდივართ სახლიდან.

თანამედროვე მაცივრების ზოგიერთ მოდელში, სხვადასხვა რეჟიმისა და აქსესუარის გარდა, შეიძლება იყოს ჩამონტაჟებული თხევადკრისტალური ტელევიზორი, მისი ეკრანის ზომა, ძირითადად, არ აღემატება 14 დიუსს.

მოამზადა ეთერ კასრაიშვილმა

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

მოქალაქე სე

მაღალ მთებში, ინგლისის ქალაქ ბერნლთან ახლოს, ლითონის მილებისგან აღმართულია უჩვეულო კონსტრუქცია. ეს არის მომღერალი სე, რომელიც მხოლოდ მასში „მღერის“, როცა ქარი უბერავს. კონსტრუქცია 3 მეტრზე მაღალია. მილები სპირალისებურადაა დახვეული, რითაც ხეს უფრო ეფექტური შესახედაობა აქვს. მილების ფლერადობა მუდმივად იცვლება, რადგან მომღერალი ხის „ძირისკენ“ მილების რაოდენობა თანდათან მცირდება.




მკვლელი გამოგონებები

ადამიანები მრავალ წელს ხარჯავენ თავიანთ გამოგონებებზე, მანამ ავითარებენ და სრულყოფენ, სანამ ფართო საზოგადოებისთვის წარსადგენად არ გამოდგება. თავად გამოგონებლების ცხოვრების დანარჩენი ნაწილი კი, როგორც წესი, ხალხისთვის ბუნდოვანია, თუმცა არიან ისეთებიც, რომლებიც არა მხოლოდ გამოგონებების, არამედ საკუთარი ბედის გამოც მოექცნენ ყურადღების ცენტრში — ისინი საკუთარი გამოგონებების მსხვერპლნი გახდნენ.




7. ფრანს ჩიუპელი და მისი პარაპუტი-კოსტიუმი

ფრანც რეიშელტი (1879-1912) დარწმუნებული იყო, რომ მას შეუძლია შექმნას ავიატორებისთვის სპეციალური კოსტიუმი, რომელიც პარაპუტად გადაიტყვევს. ავსტრიული წარმოშობის ფრანგი ცნობილია, როგორც „მფრინავი მკერავი“. იგი სიცოცხლეს გამოესალმა 1912 წლის 4 თებერვალს, როცა თავისივე გამოგონილი კოსტიუმით ეიფელის კოშკის პირველი პლატფორმიდან გადმოხტა. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად მანეკენის გამოყენება იგეგმებოდა, ბოლო წუთს გამოგონების ავტორმა გადაწყვიტა, ის თვითონ გამოეცადა. სამწუხაროდ, რეიშელტისთვის და მისი ოჯახისთვის რწმენა იმისა, რომ ეს გამოგონება იმუშავებდა, ტრაგიკული შედეგით დასრულდა. მას შემდეგ, რაც რეიშელტი მყურებლების წინ მიწაზე დაეწარცხა, ის სასწრაფოდ საავადმყოფოში გააქანეს, მაგრამ იქ მიყვანამდე გარდაიცვალა. ფოტოზე ასახულია მისი 90-მეტრიანი ვარდნა.



2. ჰორას ლოუსონ ჰანლი და მისი წყალქვეშა ნავი

ჰორას ლოუსონ ჰანლი (1823-1863) ამერიკის სამოქალაქო ომის დროს კონფედერატების მხარეს იბრძოდა. იყო რა საზღვაო ინჟინერი, მან გამოიგონა წყალქვეშა ნავები, რომელთა ამოძრავება ხელის დახმარებით ხდებოდა. სამწუხაროდ, ჰანლის სიცოცხლე ერთ-ერთმა მისმა გამოგონილმა ნავმა შეინიწრა. ნავს მოგვიანებით გამოგონებლის სახელი დაარქვეს. ჰანლის წყალქვეშა ნავზე რამდენიმე მსხვერპლი მანამდე იცოდა: ამ ნავის პირველი ჯგუფი მასინ დაიღუპა, როდესაც ნავის ლუქები ღია ჰქონდათ და გვერდით ჩავლილი გემისგან წამოსულმა ტალღამ ხუთი ადამიანი დაახრჩო. ამის შემდეგ მოხალისეთა მეორე ჯგუფი აიყვანეს. უბრალო ვარჯიშის დროს ჰანლიმ გადაწყვიტა, თვითონ ეხელმძღვანელა ნავისთვის. 1863 წლის 15 ოქტომბერს ნავი ჩაიძირა და ეკიპაჟის რვავე წევრი დაიღუპა. მოგვიანებით ნავი ზედაპირზე ამოიყვანეს და მიანიჭეს პირველი წყალქვეშა ნავის წოდება, რომელმაც ბრძოლის დროს წარმატებით ჩაძირა მონინალმდევის გემი.



6. მაქს ვალიე და მისი თხევადსაწვავიანი სარაკეტო ქარაი

მაქს ვალიე (1895-1930) გერმანული სარაკეტო მეცნიერების მწვერვალზე იყო და „Verein für Raumschiffahrt“-ის (კოსმოსური ფრენების ასოციაცია) ერთ-ერთ დამაარსებლად ითვლებოდა. სწორედ ამ ასოციაციის წევრების უმრავლესობა იყო პასუხისმგებელი XX საუკუნის კოსმოსურ პროგრამებზე. 1930-იან წლებში ასოციაცია თხევადსაწვავიან რაკეტებზე მუშაობდა და ვალიეც იმ აზრს იზიარებდა, რომ უნდა გამოეცადათ სარაკეტო მანქანა ასეთი ძრავით. სამწუხაროდ, იგი სწორედ საკუთარმა ახირებამ შეინიწრა: ერთი თვის შემდეგ, 1930 წლის 17 მაისს, რაკეტა, რომელზეც ვალიე თავის ბერლინის ლაბორატორიაში მუშაობდა, აფეთქდა. აფეთქების შედეგად მას ნამსხვრევი პირდაპირ ფილტვის არტერიაში მოხვდა და მოკლა.


3. ჟან-ფრანსუა პილატრ დე როზიე და მისი ბურთი

ფრანგი ჟან-ფრანსუა პილატრ დე როზიე (1754-1785) წარმატებული ავიატორი იყო რამდენიმე საამაყო მიღწევით. პირველ დიდ წარმატებას მან მარკიზ დე არლანდესთან ერთად მიაღწია 1783 წლის 21 ნოემბერს, როდესაც პირველი შეუჩერებელი ფრენა განახორციელა მფრინავი ბურთით. მეორე მისი მიღწევა კი არც ისე წარმატებული გამოდგა: 1785 წლის 15 ივნისს ის და მისი კომპანიონი პიერ რომანი საჰაერო კატასტროფის მსხვერპლნი გახდნენ. ეს კატასტროფა ლა-მანშის გადალახვისას მოხდა. იმის გამო, რომ მონგოლფიეს ბურთი, რომელსაც ის პირველად იყენებდა, არ იყო განკუთვნილი შორ დისტანციებზე ფრენისთვის, დე როზიემ შექმნა საჰაერო ბურთის საკუთარი ვერსია, რომელიც როგორც წყალბადს, ასევე ცხელ ჰაერს იყენებდა. უშუალოდ ფრენის დროს ქარმა ბურთი უკან, ხმელეთისკენ გააბრუნა, შემდეგ ბურთი უცაბედად ჩაიფუშა და მფრინავები 500 მეტრის სიმაღლიდან ჩამოცვივდნენ. ამ ტრაგედიასთან დაკავშირებული კიდევ ერთი სამწუხარო მოვლენა ის იყო, რომ როზიეს მეუღლე ამ შემთხვევიდან 8 დღის შემდეგ გარდაიცვალა. საკვარად, რომ მან თავი მოკლა.



5. ოტო ლილიენტალი და მისი პლანერი

„პლანერის მეფედ“ ცნობილი ოტო ლილიენტალი (1848-1896), გერმანული ავიაციის პიონერი და გამოგონებელი, კონტროლირებად ექსპერიმენტებს ახორციელებდა და პირველი იყო, ვინც განმეორებადი და დოკუმენტურად სარწმუნო ფრენების განხორციელება შეძლო. ლილიენტალის წარმატებები, პრესის პუბლიკაციების წყალობით, მეცნიერულმა საზოგადოებამაც და უბრალო მოკვდავებმაც ირწმუნეს, რომ მფრინავი აპარატების შექმნა საკვებით რეალურია. ლილიენტალი იყო პირველი, ვინც შეძლო განეხორციელებინა კონტროლირებადი ფრენა ჰაერში მძიმე აპარატით. ეს იყო მიღწევა, რომლის შემდეგაც მას „ფრენის მამა“ უწოდეს. მისი შრომა სხვა ადამიანებისთვის მაგალითი იყო, ასეთები იყვნენ ძმები რაითები. ისინი ლილიენტალს თავიანთი შთაგონების წყაროდ მიიჩნევენ. სამწუხაროდ, 2000 გაფრენის შემდეგ ლილიენტალი დაიღუპა. 1986 წლის 9 აგვისტოს ფრენიდან პიკირება დაიწყო, დაცემის დროს მფრინავს ხერხემალი გადაუტყდა და მეორე დღესვე გარდაიცვალა. გამოგონებლის უკანასკნელი სიტყვები იყო: „მსხვერპლი გარდაუვალია“.



4. ჰარი დალიან უმცროსი, ლუის სლოტინი და მათი «დეპონური ბურთი»

ამერიკელი ჰარი დალიან უმცროსი (1910-1946) და კანადელი ლუის სლოტინი (1910-1946) გახლდნენ ფიზიკოსები, რომლებმაც რადიაციული დასხვება განიცადეს და ორივე ერთი და იმავე ინციდენტის მსხვერპლი გახდა ატომურ ბომბზე მუშაობის დროს ლოს-ალამოსსა და ნიუ-მექსიკოში. 1945 წლის 21 აგვისტოს დალიანს შემთხვევით ვოლფრამის კარბიდის ფილა დაუვარდა პლუტონიუმის ბირთვზე, რამაც ბირთვი „სუპერკრიტიკული“ გახდა. პანიკაში ჩაგარდნილი დალიანი უშედეგოდ ცდილობდა ფილის გადმოგდებას და იძულებული გახდა, ვოლფრამის ფილის დემონტაჟი თვითონვე გაეკეთებინა, რათა ბირთვული რეაქცია როგორმე შეეჩერებინა. ის ძლიერ დასხივების გამო 25 დღეში გარდაიცვალა. „კრიტიკული ინციდენტის“ მეორე მსხვერპლი ლუის სლოტინი იყო. 1946 წლის 21 მაისს შემთხვევით მას სახრახხისი დაუვარდა და ამით ბირთვული დეაფონის რეაქცია დაიწყო. ის უფრო მალე გარდაიცვალა, ინციდენტიდან სულ რაღაც 9 დღეში. უცნაური დამთხვევის შედეგად, ექსპერიმენტში ისევე ის პლუტონიუმის ბირთვი გამოიყენებოდა, რომელმაც დალიანი მოკლა. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, ამ ბირთვს „დეპონური ბირთვი“ შეარქვეს.

1. აუკალ ვაიკუ და მისი აეროპლანი

აურელ ვაიკუ (1882-1913) რუმინეთში დაბადებული ინჟინერი და აეროპლანების გამოგონებელი იყო. მან თავისით შექმნა პირველი აეროპლანი და პირველი ფრენა 1910 წლის 17 ივნისს განახორციელა. შემდეგ ვაიკუმ მეორე აეროპლანი შექმნა და 1912 წლის აეროპლანზე რამდენიმე პრიზიც მოიგო. სამწუხაროდ, ისიც თავისმა გამოგონებამ იმსხვერპლა 1913 წლის 13 სექტემბერს, როდესაც „ვაიკუ II“-მ მას კარპატის მთების გადაფრენისას უმტყუნა. ვაიკუ უკვე მუშაობდა აეროპლანის ახალ მოდელზე „ვაიკუ III“-ზე, მაგრამ, როდესაც შეიტყო, რომ ორი სხვა რუმინელი მფრინავი კარპატების გადაფრენას აპირებდა, მან ნაჩქარევად დაუფიქრებელი გადაწყვეტილება მიიღო — გამოეყენებინა ძველი და გაცვეთილი „ვაიკუ II“. ეს იყო გადაწყვეტილება, რომელიც მეცნიერს სიცოცხლის ფასად დაუჯდა.





სხენის საძინებელი

სტეფანი ნობლეს მეზობლები უჩივიან — მის ბინაში ცხენი ცხოვრობს. შოტლანდიაში 65 წლის ქალბატონი ცხენთან ერთად ერთ ჭერქვეშ ბედნიერად ცხოვრობს. სტეფანიმ ის 1800 გირვანქა სტერლინგად შეიძინა და ნაცრისფერი ლედი დაარქვა. სტეფანის პატარა საძინებელში სძინავს. მეორე საძინებელი კი ცხენისთვის განკუთვნილი ყველა საჭირო ატრიბუტიცაა აღჭურვილი. ბინაში კიდევ ერთი ოთახია, რომელიც სავსეა ცხენის საკვებით, სასტუმრო ოთახში კი თავად ნაცრისფერი ლედი ცხოვრობს. სააბაზანო ოთახიც თვითონაა სავსე.

გეოგრაფიული


www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ჯუჯათა საფაფო

თუ კი გსურთ, თავი გულივერად იგრძნოთ, მაშინ ჩინეთის ჩრდილოეთში მდებარე ერთ პატარა სოფელს უნდა ეწვიოთ. იქ მხოლოდ და მხოლოდ ჯუჯა ადამიანები ცხოვრობენ. მათ გადაწყვიტეს, ერთად დასახლებულიყვნენ, რადგან ჩვეულებრივი ადამიანებისგან მუდმივად განიცდიდნენ შეურაცხყოფასა და დაცინვას. დღესდღეობით კი ჯუჯათა დასახლება ძალიან პოპულარულია უცხოელ ტურისტთა შორის.

სოფელში სრულყოფილი ინფრასტრუქტურაა — საავადმყოფო, სკოლა, მაღაზიები... ამ მხრივ ის არ განსხვავდება ჩინეთის სხვა სოფლებიდან, მაგრამ არსებობს „უმნიშვნელო“ განსხვავება — კუმინგის მცხოვრებთა სიმრავლე არ აღემატება 129 სანტიმეტრს. ამასთან, სოფლის ყველაზე ახალგაზრდა ჯუჯის ასაკი 18 წელია, ყველაზე ასაკოვანის — 48.

ზღაპრული სოკოებისა და ხეების ფორმა აქვს, რათა სოფელი ტურისტებისთვის უფრო მიმზიდველი და საინტერესო გახდეს. ჯუჯებმა უარი თქვეს ყოველდღიურ ტანსაცმელზე და დღის განმავლობაში ისინი ზღაპრის გმირების კოსტიუმებით დადიან.



ორფენს კალი

ძალი, სახელად ვერა, წინა თათების გარეშე დაიბადა, თუმცა ის მაინც ახერხებს გადაადგილებას და ადამიანებით ორ ფეხზე დადის. თავის პატრონს — ჯუდი სტრინგფელდს — ის ძალიან უყვარს და სითბოს არ აკლებს, ყველგან თან დაჰყავს. ვერა ყველას გაკვირვებს და გაოცებს ინვესს.



ნაპოლეონი კავკასიელი

საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონ ბონაპარტი კავკასიური წარმოშობის ყოფილა. ამ დასკვნამდე მივიდა ფრანგი გენეტიკოსი ჟერარ ლუკოტი, რომელმაც იმპერატორისა და ბონაპარტთა შთამომავლების დნმ-ი გამოიკვლია.

ლუკოტი ნაპოლეონის დნმ-ის ნიმუშებზე სამი წლის განმავლობაში მუშაობდა. თავდაპირველად კვლევა მუზეუმში დაცულ იმპერატორის თმის კულულზე ჩატარდა. ნიმუშის მიტოქონდრიული დნმ-ის ანალიზისა და იგრეკ-ქრომოსომის პროფილის გამოვლენის შემდეგ, მეცნიერის ხელში ნაპოლეონის შთამომავალი ქალებისა და მამაკაცების გენეტიკური ინფორმაცია შეგროვდა.

ლიც თავის წინაპრად ასახელებდა ფრანკისკო ბონაპარტს, ადამიანს, რომელიც წარმოშობით ქალაქ სარცანადან იყო. ეს ქალაქი კი არაერთხელ გამხდარა არაბ მუსლიმთა თავდასხმის მსხვერპლი. ისტორიკოსები ფიქრობენ, რომ ნაპოლეონის არაბი წინაპრები იტალიაში ისლამის გასავრცელებლად ჩავიდნენ. კვლევის პერიოდში მეცნიერს იმპერატორის ძმის, ჟერომ ბონაპარტის შთამომავალი, 60 წლის შარლ ნაპოლეონი დაუკავშირდა და საკვლევ მასალად საკუთარი დნმ-ი შესთავაზა. მისი იგრეკ-ქრომოსომები სახელოვანი წინაპრის მონაცემების იდენტური აღმოჩნდა, რითაც ლუკოტმა დაამტკიცა, რომ შარლი ნამდვილად ნაპო-



ლეონის შთამომავალი იყო. ამის შემდეგ მისი დნმ-ის დეტალურ შესწავლას შეუდგა. „ჰაპლოჯგუფი უფრო დიდი სიხუსტით განვსაზღვრეთ და აღმოჩნდა, რომ ნაპოლეონი

არა არაბი, არამედ კავკასიელი იყო,“ — აცხადებს ფრანგი გენეტიკოსი. ნაპოლეონის ჰაპლოჯგუფი კავკასიელი ხალხის გენოტიპს უფრო ენათესავება.

კანადაში სელაპები დაიხოსნენ

კანადა ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე დგას. ყინულის დნობის შედეგად, ჩვილი სელაპების 80% დაიღუპა. კანადის თევზჭერისა და ოკეანის რესურსების დეპარტამენტის ინფორმაციით, ცხოველების დახოცვის მიზეზი გლობალური დათბობაა.

„წმინდა ლავრენტის ყურეში ყინულის საფარი, მოსალოდნელ დონესთან შედარებით, 80%-ით დაბალი იყო. — აცხადებს დიუკის უნივერსიტეტის მეცნიერი, — ამან ყურეში თეთრბენვიანი გრელანდიური სელაპების დახოცვა

გამოიწვია, ცხოველების თითქმის 100% განადგურდა. პირველი ორი კვირის განმავლობაში ჩვილ სელაპებს ყინული სჭირდებოდათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი იძირებოდნენ.“



დათბობა ატლანტის ოკეანის მთელ ჩრდილოეთ ტერიტორიაზე გავრცელდა, ამიტომ

გრელანდიურ სელაპებს, სავარაუდოდ, წითელ წიგნში შეიტანენ.

ბიუსტკალტერები ქროსიისთვის

სახას რესპუბლიკაში 50-გრადაუსიანი ყინვის გამო ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მენველ ძროხებს კურდღლის ბენვისგან შეეკრიბი ბიუსტკალტერები ჩააცვეს, რათა საქონლის ჯიქანი მოყინვისგან დაიცვან. „ბიუსტკალტერი სამკუთხედის ფორმის დათბილული ნაჭერია, რომელზეც კურდღლის ბენვია გადაკრული. მას სამი ლვედი აქვს: ორი ძროხის ტანზე იჭიმება და იკვრება, მესამე კი — კუდექვეშ,“ — აცხადებს ცხრა ძროხის მფლობელი ნატალია სემენოვა. მისი თქმით, თუ ძროხას ბიუსტკალტერს არ ჩააცმევენ, მას ცურის მოყინვა და რძის დაკარგვა ემუქრება, რის შემდეგაც საქონელს სერიოზული მკურნალობა დასჭირდება. ხანგრძლივი თბილი ამინდების შემდეგ სახას რესპუბლიკაში 50-გრადაუსიანი ყინვაა. 9 იანვარს ამგინის რაიონში ტემპერატურა 55 გრადაუსამდე დაეცა.



